# სარბიელი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 ნოემბერი 2001 №227 (1500) | ფასი 50 თეთრი


# კონტინენტ-კოქტეილი

## ევრო-ამერიკული დავა აზიაში აფრიკელმა მოაგვარა

REUTERS



„ბაიერნის" ერთადერთი გოლის გამტანი განელი სამუელ კუფური

ჩირიაკო სფორცამ კუთხური ჩააწოდა, ტორსტენ ფინკმა თავი დაუხვედრა, კლემენტე როდრიგესმა მოიგერია, სამუელ კუფურმა დაამატა და ამით დასრულდა. მიუნხენის „ბაიერნი" ისტორიაში მეორედ, მეოთხედი საუკუნის შემდეგ შინ საკონტინენტთაშორისო თასით დაბრუნდა.

კუფურის გოლის მერე სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ჩემპიონებმა კიდევ ათი წუთი ითამაშეს, ოღონდ გოლი ველარ გაიტანეს – ისევე, როგორც კუფურის მოქნევამდე 109 წუთის განმავლობაში.

არადა, განა არ უტევდნენ, უტევდნენ და რამდენჯერმე მეტად სახიფათოდაც, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კაცს რომ მიზანი წაუხდება... მიზანსაც ვინ ჩივის, არგენტინელი მარსელო დელგადო ისე წახდა, ორჯერ სულელურად აიკიდა ყვითელი ბარათი და დანიელ არბიტრ ტიმ-მილტონ ნილსენს თავი გააგდებინა.

ჰო, მიზნის გაცუდებაზე რომ ვთქვით, მეკარეებსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას, ოლივერ კანმა და ოსკარ კორდობამ ბრწყინვალედ ითამაშეს.

და შედეგიც: ყველა შესაძლო ტიტულის მომპოვებელმა „ბაიერნმა" კოლექცია შეუვსო თავის დამრიგებელ ოტმარ ჰიცფელდსაც, ვინც ცხრამეტი ჯილდოს მფლობელი იყო, „ტოიოტას" თასისთვის კი ჯერ ხელი არ შევლო.

„ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელ კარლოს ბიანკის ეს თასი სულაც ორჯერ მოეგო, მაგრამ კლუბიდან წასვლა გამარჯვებულს სურდა.

ბიანკის პარაგვაის ნაკრებში უპირებენ დანიშვნას.

იხილეთ მეხუთე გვერდი



# ზაზა ჯანაშიას წონის ნაცვლად კითხვები მოემატა

## ლოკომოტივის ქართველი თავდამსხმელი ებრაელების იმედზეა

**უკვე** რა ხანია, მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია აღარ თამაშობს, მყარად ზის სათადარიგოთა სკამზე და ხანდახან მატჩებს სულაც ტრიბუნიდან უცქერს.

რა მოხდა? რატომ გახდა „ლოკომოტივისთვის" ჯანაშია მეორეხარისხოვანი? რატომ აითვალწუნა იური სიომინმა ქართველი თავდამსხმელი?

ამბობდნენ, ჯანაშიამ წონაში მოიმატა და ფორმაში არ არის, რეჟიმის ხშირად დამრღვევს თავისებური, გამოუცნობი ხასიათი აქვს, სიომინსაც მობეზრდა ქართველისთვის ლამის ყოველდღიურად რჩევა-დარიგების მიცემა და ამიტომაც ჩამოაშორა ძირითად შემადგენლობასო.

არადა, ადრე ზაზა ჯანაშია „ლოკომოტივის" ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, გოლი გოლზე გაჰქონდა და თაყვანისმცემლები, თავისთან გადაბირების მსურველი კლუბები არ აკლდა. 1998 წელს ჯანაშია „სარბიელის" გამოკითხვით საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა, თუმც მის არაორდინალურობასა და უცნაურობაზე მას მერეც ბევრს ლაპარაკობენ.

ხშირად ყოფილა, ჯანაშია ეროვნულ გუნდში გამოუძახებიათ და არ ჩამოსულა, ხან რა მოუმიზეზებია, ხან რა. ის კი, რაც ჯანაშიამ გუშინ გვითხრა, აქამდე მისი პირიდან არავის გაუგია, უფრო სწორად, მას ხმამაღლა არ განუცხადებია.

ზაზა ჯანაშიასთან ინტერვიუ
იხილეთ მეთხე გვერდზე

REUTERS



ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი მიუნხენის „ბაიერნი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## II ჯგუფური ეტაპი. I ტური. გადადებული მატჩი. დღეს

## D ჯგუფი

### იუვენტუსი — ლევერკუზენი

### სავარაუდო შემადგენლობები

| იუვენტუსი | ლევერკუზენი |
|---|---|
| ბუფონი, ტურამი, ტუდორი, იულიანო, პესოტო, ტაკინარდი, დავიდსი, ძამბროტა, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე | ბუტი, შნაიდერი (ან სებესკენი), ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი, კირსტენი, ნოივილი |

ტურინი. „დელე ალპი“. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)



ნისლიან ოთხშაბათს „იუვენტუსმა“ ვარჯიშილა იკმარა

# ნისლო, მოწყალების დაო... გადადებამ იუვენტუსი ააყენა

**ტურინში** ნისლი გაიფანტა, იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის გადადებული მატჩი „იუვენტუსსა“ და ლევერკუზენის „ბაიერს“ შორის დღეს გაიმართება.

კალენდრის არევის ამბავი გვერდზე გადავდოთ და ის ვთქვათ, რომ მატჩის გადადება მასპინძლებს უფრო წაადგათ, რაკი ამ ერთ კვირაში ლილიან ტურამმა ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა. გამოჯანმრთელებულა ჯანლუკა პესოტოც და, სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში იქნება, მარჯვენა ფლანგზე, სადაც მის არყოფნაში კრისტიან ძენონი თამაშობდა.

„ბებერ ქალბატონს“ თავდასხმაში კვლავაც ალესანდრო დელ პიეროსა და დავით ტრეზეგეს იმედი აქვს. მათ უკნიდან ჩეხი პაველ ნედვედი გაუმაგრებს ზურგს, ხოლო ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე სიცარიელეს ჯანლუკა ძამბროტა ამოავსებს.

ლევერკუზენელთა ერთადერთი დანაკლისი ბუნდესნაკრების წევრი ბერნდ შნაიდერია. მას კუნთი აქვს დაჭიმული და ალბათ ზოლტან სებესკენი შეცვლის. დანარჩენები კი სწორედ ის ფეხბურთელები იქნებიან, რომლებიც ბუნდესლიგაში აგერ უკვე თოთხმეტი ტურია, არ მარცხდებიან.

მატჩამდე კი, როგორც წესია, მეტოქენი ერთმანეთს და საკუთარ თავს აქებენ. კლაუს ტოპმიოლერი ამბობს: „გაოცებული ვრჩები, როცა ზოგიერთი მეტოქე სერიოზულ გუნდად არ მიგვიჩნევს. ძალიან ცდებიან. ჩვენთან აგდებული დამოკიდებულების გამო ბევრს წაუტეხია კისერი. ასეთი რამ ჩვენ არასდროს გვემართება. აი, სერია A-ს წინა ტურში „იუვენტუსმა“ „ლაციოსთან“ წააგო, მაგრამ აზრად არ მომსვლია, ამის გამო მეტოქის სისუსტეზე დამეწყო ლაპარაკი. პირიქით, ის მარცხი ტურინელებს ჩვენს წინააღმდეგ უფრო ძლიერად თამაშს აიძულებს“.

ალესანდრო დელ პიერომ კი აღნიშნა, არაიტალიურ გუნდებთან უკეთ ვითამაშებთო: „იტალიაში თამაში ჩაკეტილია, 90 წუთის მანძილზე შეიძლება ერთი-ორ მომენტზე მეტი ვერ შექმნა. უცხოელები კი გახსნილ ფეხბურთს თამაშობენ და მათთვის გოლის გატანა უფრო იოლია“.

**გიორგი დარჯანია**

# დინამოს პატრონი ცოცხლად ნახა

„ჰეზერ პარკ პროპერტი“, „ვორლდ სპორტ პარტნერშიპი“, პიტერ ბონდი, შსს...

მაინც ვისაა იერ და პატრონშეცვლილი, ჯერ ოდენ ზეექსეულში დასამკვიდრებლად მებრძოლი, ფულშემატებული და ქულებდაკარგული თბილისის „დინამო“?

ბადრი პატარკაციშვილი დიღმის ბაზას ესტუმრა. ვიზიტის მიზანი ერთი იყო — მწვრთნელ-ფეხბურთელების და საერთოდ კლუბის გაცნობა.

როგორც იქნა, დინამოელებმა საკუთარი თვალით იხილეს ახალი პატრონი.

ბადრი პატარკაციშვილის მისვლას დიღმის ბაზაზე ადრეც, 16 ნოემბერს, „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის წინ ელოდნენ, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა. მიზეზი საპატიო იყო: პატარკაციშვილის სახლს ფალიაშვილის ქუჩაზე ცეცხლი წაეკიდა.

ქარიზმატული პერსონა დინამოელებს 15-20 წუთით გამოელაპარაკა. საუბარი იუმორით შეზავებული და ზოგადი იყო, კონკრეტული არაფერი თქმულა. ნებისმიერ საკითხს დადებითად გადაგიწყვეტთ, არანაირი პრობლემა არ შეგაწუხებთ, ისეთ პირობებს შეგიქმნით, საზღვარგარეთ წასვლის სურვილი აღარ გექნებათო — დაპირებია ბადრი პატარკაციშვილი ფეხბურთელებს და იქვე დაუყოლებია — ოღონდ შედეგი მოგეთხოვებათო.

კიდევ აქვს „დინამოს“ ჩემპიონობის შანსი? უკითხავს ბატონ ბადრის და გივი ნოდიასკენ გაუხედავს, რომლის გაწვრთნილი გუნდი დღეისათვის მეხუთე ადგილზეა...

**დავით თავართქილაძე**



ბადრი პატარკაციშვილი

## ინგლისი

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

სტოკპორტი 0:2 ჯილინგემი

ვულვერჰემპტონი 4:1 ბარნსლი

### II დივიზიონი

გადადებული მატჩი

სუინდონი 3:1 რედინგი

### ასოციაციის თასის I ეტაპი

გადათამაშება

ბერი 1:1 დ.დ.(პენ.2:3,1:1) ლინკოლნი

ნოტსი 2:0 კემბრიჯი

იორკი 2:2 დ.დ.(პენ.3:2,2:2) კოლჩესტერი

ბაროუ 0:1 ოლდემი

როვერსი 1:0 ალდერშოთი

კარლაილი 1:0 ბარნეტი

ლანკასტერი 1:4 დ.დ.(1:1) ალტრინჩემი

პიტერბრო 2:1 ბედფორდი

პლიმუთი 3:2 უიტბი

როჩდეილი 1:0 ტამვორტი

### ლიგის თასი. მერვედფინალი

არსენალი 2:0 გრიმსბი

ნიუკასლი 4:1 იფსვიჩი

ბოლტონი 2:2 დ.დ.(პენ.5:6,1:1) საუთჰემპტონი

უოტფორდი 3:2 დ.დ.(2:2) ჩარლტონი

## იტალია

### თასის მერვედფინალი

საპასუხო მატჩი

რომა 3:0 პიაჩენცა (1:2)

## შოტლანდია

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები

ისტ სტირლინგი 1:2 ალბიონი

ელგინი 0:1 ბრეჩინი

### ლიგის თასი. მეოთხედფინალი

ჰიბერნიანი 2:0 დანდი იუნაიტედი

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XVIII ტური

გენიონი 0:0 სტრასბური

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XV ტური

გრონინგენი 0:1 ალკმაარი

დენ ბოსხი 3:1 გრააფსხაპი

## გერმანია

### თასის II ეტაპი

ერფურტი 1:2 დ.დ.(1:1) ჰერტა

იურდინგენი 1:1 დ.დ.(პენ.4:3,1:1) ვერდერი

არმინია 1:2 შალკე

ჰამბურგი 0:2 შტუტგარტი

მაინცი 3:2 ფიურტი

ვოლფსბურგი 3:0 უნტერჰახინგი

## ესპანეთი

### თასის მეთექვსმეტედფინალი

ფიგერესი 0:0(პენ.4:2) ოსასუნა

ნოველდა 1:0 ლას პალმასი



REUTERS

„ერფურტი“ — „ჰერტა“. ერფურტელმა რონი ჰებერშტრაიტმა (შუაში) მოხდენილი თავურით გაიტანა

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XIV ტური

**შვაინფურტი 4:2 ალენი**

0:1 ფაინბერი (14), 1:1, 2:1, 3:1 მელუნოვიჩი (31, 48, 73), 3:2 ა. ციმერმანი (76), 4:2 მელუნოვიჩი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 14 | 11 | 2 | 1 | 30:11 | 35 |
| ჰანოვერი | 14 | 8 | 6 | 0 | 36:11 | 30 |
| არმინია | 14 | 8 | 2 | 4 | 25:12 | 26 |
| აინტრახტი | 14 | 7 | 5 | 2 | 22:14 | 26 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 5 | 3 | 25:20 | 23 |
| უნიონი | 14 | 6 | 4 | 4 | 30:18 | 22 |
| ფიურტი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:15 | 22 |
| როიტლინგენი | 14 | 6 | 2 | 6 | 25:25 | 20 |
| კარლსრუე | 14 | 6 | 2 | 6 | 20:22 | 20 |
| ალენი | 14 | 6 | 2 | 6 | 26:34 | 20 |
| უნტერჰახინგი | 14 | 5 | 2 | 7 | 15:18 | 17 |
| შვაინფურტი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:26 | 15 |
| ალემანია | 14 | 4 | 3 | 7 | 14:28 | 15 |
| დუისბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 17:21 | 14 |
| ვალდჰოფი | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | 14 |
| ბაბელსბერგი | 14 | 3 | 2 | 9 | 16:35 | 11 |
| ობერჰაუზენი | 14 | 2 | 3 | 9 | 18:25 | 9 |
| ზაარბრიუკენი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:22 | 9 |

## პორტუგალია

### I ლიგა. XII ტური

**სპორტინგი 2:0 ბოავიშტა**

1:0 ჟოაუ პინტუ (22), 2:0 ჟარდელი (64პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 12 | 8 | 1 | 3 | 25:10 | 25 |
| ბოავიშტა | 12 | 8 | 1 | 3 | 23:10 | 25 |
| ბენფიკა | 12 | 6 | 6 | 0 | 20:11 | 24 |
| სპორტინგი | 12 | 7 | 2 | 3 | 27:10 | 23 |
| მარიტიმუ | 12 | 6 | 0 | 6 | 17:14 | 18 |
| გიმარაეში | 12 | 5 | 3 | 4 | 13:14 | 18 |
| ლეირია | 12 | 4 | 5 | 3 | 17:12 | 17 |
| ბელენენსეში | 12 | 5 | 2 | 5 | 16:18 | 17 |
| ბეირა მარი | 12 | 4 | 4 | 4 | 24:22 | 16 |
| ბრაგა | 12 | 4 | 3 | 5 | 15:10 | 15 |
| სეტუბალი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:15 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 12 | 4 | 3 | 5 | 14:20 | 15 |
| ფარენსე | 12 | 4 | 2 | 6 | 9:17 | 14 |
| სანტა კლარა | 12 | 3 | 4 | 5 | 9:16 | 13 |
| სალგეირუში | 12 | 4 | 1 | 7 | 11:24 | 13 |
| ალვერკა | 12 | 3 | 2 | 7 | 15:25 | 11 |
| ფერეირა | 12 | 2 | 5 | 5 | 12:23 | 11 |
| ვარზიმი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:23 | 9 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 13 პირველი ეტაპი

# 17 ტური შედეგები

# პოლიცია პრეზიდენტის წინააღმდეგ
# აფრიალდა წითლები, აფეთქდა დავიდარაბა



„დინამომ" „ლოკომოტივის" მორიგი იერიში ჩაშალა– გიორგი მანწკავას (№11) მიერ ვერმოგერიებული ბურთი საჯარიმოდან ირაკლი ვაშაკიძემ გამოიტანა

–ᲘᲧᲝ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ, გაწევ-გამოწევა, გოლებიც– და არანაირი სიახლე. ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ერთი ტური მიილია სამთვიანი არდადეგების დაწყებამდე.

მიუხედავად დაძაბულობისა, დღეს ბევრი სპეციალისტი აღიარებს, რომ მოქმედმა სისტემამ ვერ გაამართლა. მან ვერ შეასრულა თავისი უპირველესი მისია, ქართული ფეხბურთის დონე ვერ აამაღლა. ანაც ამაღლებაზე და წინსვლაზე როგორ შეიძლება ლაპარაკი, როცა რაღაც ალიანსებზე, ჩაწყობილ თამაშებსა და უმოქმედობაზე გვიწევს წერა.

დროებითი სიჩუმისა და ზავის შემდეგ ისევ აუმხედრდნენ მსაჯებს, თუმც მეჩვიდმეტე ტურში მათ დამცველებიც გამოუჩნდნენ.

ქართველმა თავდამსხმელებმა როგორღაც მოახერხეს და ორნახევარი თვის წინ დანიაში გადაბარგებულ მიხეილ აშვეთიას გადაასწრეს, არადა, ქუთაისელ ფორვარდს წასვლამდე სულ 8 გოლი გაეტანა.

„ეროვნულზე" ათგზის ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს დაუხვდა. „ტორპედოს" ზღვისპირეთის ჰავა სწყენს. „ვიტ ჯორჯიამ" მოულოდნელად წააგო და „არმაზიდან" მსაჯები თავისი ფეხბურთელების სამონაწილეო ბარათებით დატვირთული გაუშვა. „გორდას" ვარლამ კილასონია დაუბრუნდა, ახალმა პრეზიდენტმაც ჩაიბარა პოსტი, მაგრამ სამი ქულა მაინც „კოლხეთმა" მიითვალა. ზესტაფონში მეზობლები წაეკიდნენ ერთმანეთს. იქაურმა პოლიციამ დაიცვა მსაჯი წყალტუბოური კლუბის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ხელყოფისგან. ბოლნისში „სიონმა" წირვა გამოუყვანა „გურიას". ეგ არის და გორის ციხე, მთელი მეჩვიდმეტე ტურიც ერთ აბზაცში ჩაეტია, თუმცა...

მთელი ორი ტაიმი უტევდა „ლოკომოტივი" „დინამოს", მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. ან როგორ გაიტანდა, როცა რკინიგზელთა საბოლოო დარტყმები მასპინძელთა კარის მიმართულებით იშვიათად მიდიოდა. ამ მხრივ დათვაძემ გამოიჩინა თავი, რომელიც ისე შეცვალეს, რომ სამიზნე ვერ გაისწორა.

ვერ ვიტყვით, „დინამო" თამაშზე მეტად ქორწილზე ფიქრობდაო. მათ არსად ეჩქარებოდათ, ვიტალი დარასელია თანაგუნდელთა მაყრიონს საღამოს ელოდა და რადგანაც დრო თავსაყრელად იყო, დინამოელებმაც თავი შეაქლეს სტუმრებს. ერთხელ აშკარა საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ლომაიამ ფრთები გამოისხა და...

ის სადავო ეპიზოდი მერე პრესკონფერენციაზე მწვრთნელთა გასარჩევი გახდა. ნოდიამ დაიჩემა, გოლი იყოო. ცხადაძემ მსაჯი დაიცვა. საბოლოოდ „ლოკომოტივმა" ჩემპიონთან გათანაბრების კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან.

„ტორპედოს" წაქცევას ვეტერანი პაატა მაჭუტაძის ერთი ზუსტი დარტყმაც ეყო. გაიხარეს მასპინძლებმა და გულდამშვიდებულები ეწვევიან „კოლხეთს". სასწაული უნდა მოხდეს, „ბათუმმა" ზეექვსეულში რომ ვერ შეაღწიოს.

ბევრის გასაკვირად უხასიათობა არც დამარცხებულთა თავკაცს ეტყობოდა. რევაზ ძოძუაშვილს საწუხარი აბა, რაღა ჰქონდა, „ლოკომოტივმა" ვერ მოიგო და „ტორპედო" კვლავაც ერთპიროვნული ლიდერია. თანაც, როგორც ვითარება გვაჩვენებს, რიონისპირელები დასავლეთის ალიანსს მაინც შექმნიან. „ბათუმი" თითქმის ზეექვსეულშია, თუ „კოლხეთიც" იქ მოხვდა, ერთ თანამოაზრეს აღმოსავლეთშიც იპოვიან და ცუდად წაუვა დანარჩენ ორს საქმე.

„მეტალურგმა" ვერ ითამაშა ჯიგრიანად, მაგრამ „სამგურალი" შინ მაინც ხელცარიელი გაუშვა.

წყალტუბოელები მწვრთნელს მიუტოვებია. გუნდი ისეა შეჭირვებული, რომ დაბნეულობისგან ისიც არ იციან, პრეტენზიები (თანაც სამართლიანი) ვის და როგორ წაუყენონ. ისიც არ გაგვიკვირდება, „სამგურალმა" ცოტა ხანში თამაში სულაც იუაროს.

ზესტაფონში დაბნეულები ჩანდნენ არბიტრები. მსაჯმა და მისმა თანაშემწემ ვერაფრით გაუგეს ერთმანეთს და კიდევ კარგი, მათ შორის ერთი გამოცდილი მაინც ერია. სათადარიგო მსაჯმა სერგო კვარაცხელიამ შეძლო ვითარების განმუხტვა, რა თქმა უნდა, პოლიციის დახმარებით.

რუსთავში უხერხულ მეტოქესთან სტუმრობდა „კოლხეთი". ფოთელებს თავიდან ცუდად წაუვიდათ საქმე. კილასონიას პასის შემდეგ გოცირიძემ დააწინაურა მასპინძლები. გასატანი მერეც ჰქონდათ რუსთაველებს, მაგრამ ქარს გაატანეს და „კოლხეთიც" გამოცოცხლდა. წივწივაძემ დუბლი შესრულა, ელდარ გვასალიამ სამჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ იხეირა. „კოლხეთმა" მაინც მოიგო, „გორდა" კი ერთ-ერთი აუტსაიდერია.

ბოლნისში „სიონმა" „გურიას" ჯერ ერთი გაუტანა და კვლავაც უტევდა, მაგრამ [illegible] თავადაც [illegible] კარისკენ, [illegible] მაგრამ ბოლოში [illegible] და აზეიმეს „სიონი".

მეჩვიდმეტე ტურში არსებულმა დაძაბულობამ პიკს მცხეთის სარბიელზე უწია. იმ მატჩში ფავორიტად შერაცხულ „ვიტ ჯორჯიას" ზეექვსეულში მოსახვედრად თავგამოდებულად მებრძოლი და კონკურენტი „მერანი" ესტუმრა.

მალევე დაწინაურდნენ ვიტელები და რომ ფიქრობდნენ, მორიგი სამი ქულა გაჩარხულიაო, მაშინ ათამაშდნენ ავჭალელები — გოლი ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე. გაძევება ერთი, მეორე, მესამე... გაფრთხილებაც ბევრი იყო და უამრავი ბილწი სიტყვა მოისმინეს „არმაზზე" შეკრებილებმა.

ბოლოს დარჩა „ვიტ ჯორჯია" დამცირებული და უქულო. ზეექვსეულში მოხვედრის შანსიც ძალიან შემცირდა. ისედაც ნერვებს აყოლილი მასპინძლები სტუმართა მეორე გოლმა მთლად გადარია. თამაშგარე იყოო, ამტკიცებდნენ ვიტელები, მაგრამ რა გამოვიდა ამ საქმისგან, კარგად ვიცით.

ავჭალელთა სიხარული კი უსაზღვრო იყო. მათ შეძლეს თამაშის შემოტრიალება — ჯერ მასპინძლებს გატანილი გაუქვითეს, მერე კიდევ სამი დაუმატეს და კვირას „არმაზზე" ვერავინ გაიხსენა, როდის გაუშვა საშინაო თამაშებში „ვიტ ჯორჯიამ" ერთბაშად ოთხი გოლი.

თექვსმეტი გოლი ექვს მატჩში სულაც არ გახლავთ ურიგო. სამი თამაში მოიგეს მასპინძლებმა. ორში სტუმარმა იხეირა და ერთი დასრულდა ფრედ. მეჩვიდმეტე ტურმა ერთ რამესაც მოჰფინა ნათელი — გაზაფხულამდე პირველ ექვსეულს ვერავინ შეაწუხებს, ესენი კი დანარჩენებს.

**ᲒᲛᲣᲩᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

| ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ | |
|---|---|
| 10 - ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ | კოლხეთი |
| 9 - ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ | მერანი |
| 8 - ᲐᲨᲕᲔᲗᲘᲐ | ტორპედო |
| ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ | დინამო |
| ᲒᲐᲒᲣᲐ | მერანი |
| ᲓᲐᲗᲕᲐᲫᲔ | ლოკომოტივი |
| ᲛᲐᲭᲣᲢᲐᲫᲔ | ბათუმი |
| ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ | ტორპედო |
| 7 - ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ | ბათუმი |
| ᲒᲝᲒᲝᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ | ვიტ ჯორჯია |
| ᲘᲝᲜᲐᲜᲘᲫᲔ | ტორპედო |
| ᲞᲝᲠᲝᲨᲘᲜᲘ | ტორპედო |

**ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ**

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲛᲐᲭᲣᲢᲐᲫᲔ – ბათუმი
ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ – მერანი
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲨᲙᲐᲫᲔ – მერანი
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲜᲩᲐᲑᲐᲫᲔ – ლოკომოტივი
ᲒᲘᲚᲐ ᲬᲐᲜᲬᲣᲚᲐᲫᲔ – კოლხეთი
ᲑᲐᲮᲕᲐ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ – სიონი
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲠᲣᲠᲘᲫᲔ – მერანი
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲝᲑᲣᲚᲐᲫᲔ – კოლხეთი
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲗᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ – ბათუმი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲠᲕᲐᲫᲔ – ბათუმი
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ – მერანი

ᲒᲣᲜᲓᲘ: ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲚᲘᲐ

| ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ | ᲡᲣᲚ | | | | | | | ᲨᲘᲜ | | | | | | | ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ | 17 | 13 | 2 | 2 | 40:11 | 29 | 41 | 8 | 7 | 1 | 0 | 22:5 | 17 | 22 | 9 | 6 | 1 | 2 | 18:6 | 12 | 19 |
| 2 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ | 17 | 12 | 3 | 2 | 32:8 | 24 | 39 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:3 | 14 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:5 | 10 | 17 |
| 3 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 17 | 9 | 4 | 4 | 24:21 | 3 | 31 | 9 | 8 | 0 | 1 | 17:5 | 12 | 24 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:16 | -9 | 7 |
| 4 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ | 17 | 9 | 2 | 6 | 31:24 | 7 | 29 | 8 | 6 | 1 | 1 | 19:6 | 13 | 19 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:18 | -6 | 10 |
| 5 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 17 | 8 | 4 | 5 | 36:17 | 19 | 28 | 9 | 3 | 4 | 2 | 25:11 | 14 | 13 | 8 | 5 | 0 | 3 | 11:6 | 5 | 15 |
| 6 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ | 17 | 8 | 3 | 6 | 27:26 | 1 | 27 | 8 | 6 | 1 | 1 | 20:11 | 9 | 19 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 8 |
| 7 ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ | 17 | 6 | 6 | 5 | 25:22 | 3 | 24 | 9 | 3 | 5 | 1 | 7:7 | 0 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 18:15 | 3 | 10 |
| 8 ᲡᲘᲝᲜᲘ | 17 | 5 | 4 | 8 | 14:23 | -9 | 19 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 16 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:12 | -10 | 3 |
| 9 ᲒᲣᲠᲘᲐ | 17 | 2 | 6 | 9 | 12:29 | -17 | 12 | 8 | 1 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 7 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | -11 | 5 |
| 10 ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ | 17 | 2 | 6 | 9 | 10:30 | -20 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 8 | 8 | 0 | 4 | 4 | 4:16 | -12 | 4 |
| 11 ᲒᲝᲠᲓᲐ | 17 | 2 | 4 | 11 | 14:33 | -19 | 10 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 7 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:17 | -12 | 3 |
| 12 ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ | 17 | 2 | 4 | 11 | 13:34 | -21 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 9 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:23 | -20 | 1 |



ვიტელ დავით დოლიძეს (მარცხნივ) ალექსანდრე კოშკაძემ არც ბურთი დაანება და არც სამი ქულა

# ზაზა ჯანაშია ნაკრებში სათამაშოდ, დიახაც, არ ჩამოვდიოდი!

## სიომინის კაბინეტი საჯარიმო მოედანი არ არის: თავდამსხმელი ვერ შევარდება



**ზაზა ჯანაშია ამჟამად გერმანიაშია და გუნდთან ერთად შტუტგარტის მახლობლად, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩისთვის ემზადება. სამშაბათს „ლოკომოტივი“ მოსკოვში თელ ავივის „ჰაპოელს“ სტუმრად წაგებული 1:2-ის გასაბათილებლად უნდა დაუხვდეს და, შესაძლოა, დიდი ხნის შემდეგ, სწორედ ებრაელებთან, ჯანაშია კვლავ დაბრუნდეს ძირითად შემადგენლობაში. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობს. გვითხრა კიდეც, როცა გერმანიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.**

**— ზაზა, ჩვენთან ამბობენ, ჯანაშიას მწვრთნელ სიომინთან კონფლიქტი მოუვიდა და ამიტომაც არ ათამაშებსო. მართალია?**

— არ არის მართალი. მწვრთნელთან არ მიჩხუბია.

**— კონფლიქტი ჩხუბს არ ნიშნავს.**

— ყველაფერი ნორმალურადაა. სიომინთან ძველებურად კარგი ურთიერთობა მაქვს. რატომ უნდა მქონდეს კონფლიქტი? ის მწვრთნელია, მე ფეხბურთელი. ჩემი მოვალეობაა რასაც ის მეტყვის, შევასრულო.

**— ისე, გასაკვირი სულაც არ იქნებოდა სიომინთან უთანხმოება. ამდენი ხანია, ძირითადში აღარ გითამაშია და...**

— ჩემი უთამაშებლობის მიზეზი არ ვიცი, რა არის. ვერაფერს გეტყვით. ამის გამო კი მწვრთნელთან ურთიერთობის გაფუჭება არ ღირს, არც შეიძლება.

**— მაინც რას ფიქრობ? რატომ არ გათამაშებს სიომინი?**

— „ლოკომოტივში“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელია და სიომინმაც როგორმე ხომ უნდა გაამართლოს თავის გადაწყვეტილება, ისინი გუნდში რომ დატოვა. ამიტომაც ათამაშებს ობიორასა და ერთ-ორ მისნაირ ფეხბურთელს და მე სათადარიგოდ მტოვებს.

**— იქნებ სიომინის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებ?**

— რა ვიცი. ვფიქრობ, საკმაოდ ნორმალურ ფორმაში ვარ თავს არ ვუჩივი. როცა რუსეთის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, დუბლებში ვთამაშობდი და უკმაყოფილების საბაბი არავისთვის მიმიცია. მით უმეტეს, სიომინისთვის.

**— პირისპირ არ გისაუბრია მწვრთნელთან?**

— არა, თითქმის წელიწადია პირისპირ არ გვილაპარაკია.

**— კი მაგრამ, უთამაშებლობის მიზეზი არ გაინტერესებს?**

— ცხადია, მაინტერესებს, რას მეტყვის, რით ახსნის, ჩემს უთამაშებლობას, მაგრამ რა ვქნა? არ მეძახის, ეტყობა, არ აქვს ჩემთან ლაპარაკის სურვილი და მე ხომ არ შევუვარდები კაბინეტში.

**— „ლოკომოტივის“ დატოვებას არ აპირებ?**

— ახლა კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. უახლოესი ერთი თვე ისევ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი ვიქნები. მერე კი...

**— რა მერე?**

— ნაახალწლევს ყველაფერი გაირკვევა — დავრჩები თუ არა „ლოკომოტივში“, თუ წასვლაა, სად წავალ, რომელ ქვეყანაში — ვნახოთ, დღესდღეობით მხოლოდ „ჰაპოელთან“ საპასუხო მატჩზე ვფიქრობ.

**— ჯანაშიას ბუნდესლიგის „კიოლნი“ ეპატიჟებოდაო...**

— არ ვიცი, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

**— გაქვს შანსი, „ჰაპოელთან“ მოსკოვში მაინც ითამაშო? თელ ავივში განაცხადშიც არ იყავი.**

— შანსი? რატომღაც დარწმუნებულიც კი ვარ, ძირითადში რომ მათამაშებენ.

**— რატომ ხარ დარწმუნებული? ამდენი ხნის უთამაშებელს ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ძირითადში განდობენ ადგილს?**

— ეგ კი არა, რატომღაც ისიც მგონია, „ჰაპოელს“ გოლსაც გავუტან. ებრაელებთან თამაში კარგად მაქვს დაცდილი. თელ ავივის „მაკაბი“ არ იყო, მოსკოვში 3:0 რომ დავამარცხეთ და ავიკელი მეტოქის დაცვა? მაშინ ხომ სამივე ბურთი მე გავიტანე.

**— ერთი სიტყვით, ამბობ რომ ობიორა და სხვა თავდამსხმელები შენი დონის ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ რადგანაც ისინი სიომინმა მოიყვანა გუნდში, სხვა გზა არ აქვს და ამიტომ ათამაშებსო...**

— მთლად ეგრე არ არის. ისინიც კარგი ფეხბურთელები არიან. უფრო სწორად, სიომინი მათ სინჯავს.

**— ნახევარი სეზონი გასინჯვა? თანაც ძირითად შემადგენლობაში? ნამეტანი დიდი ხანი ხომ არ არის?**

— სიომინმა იცის, რას და როგორ, რატომ აკეთებს. შეიძლება გასასინჯად ნახევარი სეზონი დიდი დროა, მაგრამ მწვრთნელმა მათი ნაკლი ეტყობა ჯერ ვერ დაინახა.

**— თურმე სიომინი წინააღმდეგი არ ყოფილა, რომ სხვა გუნდში გადახვიდე, შენი გაყიდვა სურს?**

— სიომინი ყველას ყიდის და ამავდროულად არავის. დღეს რომ ამბობს, გავყიდიო, ხვალ საპირისპიროს იტყვის.

**— შენზე ამბობენ, მძიმე ხასიათი აქვს, თავისებურიაო...**

— რაში გამოიხატებაო? ამდენი ხნის უთამაშებელს, რა თქმა უნდა, ნერვები დაწყვეტაზე მაქვს და ხასიათიც წამხდარი. სხვა რა გითხრათ, ყველა ადამიანი თავისებური ხასიათისაა. მე ჩემებურად ვაზროვნებ, რასაც საჭიროდ ვთვლი, იმას ვაკეთებ.

**— კონფლიქტურია, საქართველოს ნაკრებში პარტნიორებთან უსიამოვნება ჰქონდაო. მართალია?**

— ტყუილია, უსიამოვნება არავისთან მქონია. ნაკრების ყველა წევრთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— მწვრთნელებთან?**

— მწვრთნელებთანაც.

**— ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა ნაკრებში გამოძახებული არ ჩამოსულხარ, ტრავმას იმიზეზებდი. მეორე-მესამე დღეს კი „ლოკომოტივში“ გითამაშია. რატომ არიდებდი თავს ეროვნულ გუნდს?**

— ტრავმების გამო.

**— მხოლოდ? ალალად თქვი.**

— ხან ტრავმების გამო, ხან კი... ხან მართლაც არ მსურდა ნაკრებში თამაში და გუნდის შეკრებაზე შეგნებულად არ ჩამოვდიოდი.

**— სწორედ ეს გვაინტერესებს, რატომ არ ჩამოდიოდი?**

— რა აზრი ჰქონდა, თავიდან მაინც არ მათამაშებდნენ და ამის შემდეგ „ლოკომოტივის“ ძირითადშიც ვკარგავდი ადგილს. საუკეთესო ფორმაში მყოფი ვემზადებოდი სანაკრებო მატჩებისთვის, „ლოკომოტივში“ უგოლოდ თამაშს არ ვტოვებდი, ნაკრებში კი მაინც სკამზე ვიჯექი. ვბრუნდებოდი მოსკოვში და მწვრთნელები მეუბნებოდნენ, ნაკრებში არ გათამაშებენ, ესე იგი ფორმაში არ ხარ, ივარჯიშე და ერთი-ორი კვირის მერე ეგებ დაგაბრუნოთ ძირითად შემადგენლობაშიო.

**— ყიფიან-ძოძუაშვილის თავკაცობისას იყო ასე თუ გუცაევის დროს?**

— სულ ასე იყო.

**— ბოსკამპის მწვრთნელობისას?**

— მიუხედავად იმისა, რომ ქომაგს დიდ პატივს ვცემ და ეს ჩემთვის უპირველესია, როცა მწვრთნელი ბოსკამპი იყო, ნაკრები დიდად არ მანაღვლებდა, არ მაინტერესებდა.

**— რატომ მოგკვეთა ბოსკამპმა ეროვნული გუნდიდან?**

— რა ვიცი, ეგ მას ჰკითხეთ.

**— იქნებ დამნაშავე იყავი?**

— დამნაშავე არ ვყოფილვარ, იცით, მაშინ რა იყო? ვარჯიშისას კობიაშვილს ველაპარაკებოდი და ბოსკამპმა ეს შეამჩნია. შენიშვნა მომცა, მე კი პასუხი გავეცი, ამისთანა რა გავაკეთე-მეთქი. მწვრთნელმა ეს ვერ აიტანა. სიტყვა როგორ დამიბრუნეო და გამომაგდო. ამის ღირსი ნამდვილად არ ვიყავი.

**— ახლა თუ ითამაშებ ნაკრებში? ჩამოხვალ სანაკრებო შეკრებებზე?**

— ჩამოვალ, თუ გამომიძახეს.

**— ზაზა, ძველებურად როდის ათამაშდები?**

— მაშინ ავთამაშდები, როცა მათამაშებენ. ალბათ, მალე იხილავთ ძველებურ ფორმაში მყოფ ზაზა ჯანაშიას.

**კობა ინასარიძე**



ზაზა ჯანაშიას (მარჯვნივ) „ლოკომოტივის“ ძირითადი დაავიწყეს

### საქართველოს 13 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი ეტაპი

მეჩვიდმეტე ტური. ლოკომოტივი 3 — თორი 4:0; ქობულეთი — ლაზიკა 3:1; სამტრედია — ცხინვალი 0:2; ხობი — დილა 1:2; დინამო 2 — მერანი 2 0:1; მილანი — თსუ გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 17 | 12 | 2 | 3 | 37:9 | 38 |
| თსუ | 16 | 11 | 2 | 3 | 29:9 | 35 |
| ქობულეთი | 17 | 10 | 4 | 3 | 22:12 | 34 |
| მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 39:14 | 34 |
| ცხინვალი | 17 | 9 | 2 | 6 | 36:24 | 29 |
| ლოკომოტივი 3 | 17 | 7 | 6 | 4 | 26:17 | 27 |
| დინამო 2 | 17 | 7 | 1 | 9 | 14:18 | 22 |
| ლაზიკა | 17 | 6 | 4 | 7 | 20:28 | 22 |
| მერანი 2 | 17 | 4 | 1 | 12 | 12:34 | 13 |
| სამტრედია | 17 | 3 | 4 | 10 | 13:27 | 13 |
| ხობი | 17 | 2 | 7 | 8 | 14:29 | 13 |
| თორი | 17 | 1 | 1 | 15 | 13:54 | 4 |

### საქართველოს 13 ჩემპიონატი — რეგიონული ლიგა — პირველი წრე

#### აღმოსავლეთი

მეთვრამეტე ტური. აკადემია — ჭაბუკიანი 1:0; ალაზანი — კრწანისი 2:1; გორდა 2 — მრეტები 1:0; ოლიმპიკი — მაუდი 2:2; ვიტ ჯორჯია 2 — ლიახვი 1:0; ზოოვეტი — მცხეთა 0:2; ივერია — დინამო 3 2:1; მესხეთი — ცხუმი 1:2; ვარძია — მერანი 3 დღეს გაიმართება; თბილისი — ჯავახი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 16 | 13 | 2 | 1 | 39:7 | 41 |
| ალაზანი | 16 | 12 | 2 | 2 | 41:16 | 38 |
| ივერია | 16 | 10 | 2 | 4 | 41:26 | 32 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 16 | 9 | 4 | 3 | 43:13 | 31 |
| მაუდი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:13 | 30 |
| ოლიმპიკი | 16 | 8 | 4 | 4 | 34:18 | 28 |
| ზოოვეტი | 16 | 9 | 1 | 6 | 34:20 | 28 |
| აკადემია | 15 | 7 | 5 | 3 | 26:18 | 26 |
| ცხუმი | 16 | 7 | 4 | 5 | 30:20 | 25 |
| ჭაბუკიანი | 16 | 6 | 7 | 3 | 20:12 | 25 |
| მესხეთი | 17 | 7 | 1 | 9 | 22:27 | 22 |
| ვარძია | 15 | 6 | 3 | 6 | 13:20 | 21 |
| გორდა 2 | 16 | 5 | 4 | 7 | 25:24 | 19 |
| ლიახვი | 15 | 6 | 1 | 8 | 24:30 | 19 |
| დინამო 3 | 16 | 4 | 4 | 8 | 22:30 | 16 |
| კრწანისი | 16 | 4 | 2 | 10 | 21:38 | 14 |
| თბილისი | 15 | 3 | 2 | 10 | 19:41 | 11 |
| მერანი 3 | 15 | 3 | 2 | 10 | 13:38 | 11 |
| მრეტები | 16 | 1 | 4 | 11 | 21:34 | 7 |
| ჯავახი | 16 | 0 | 1 | 15 | 13:79 | 1 |

#### დასავლეთი

გამოტოვებული მატჩები: სქური — ოკრიბა 4:2; ზუგდიდი — მერცხალი 2:0; ეგრისი — ინტერი 8:2; სულორი — გურია 2 4:2

მეთვრამეტე ტური. საპოვნელა — საირმე 7:2; სქური — ჩიხურა 2:1; გურია 2 — მეტალურგი 2 4:1; კოლხეთი 2 — სალხინო 4:2; ინტერი — ლუკა 3:1; ბათუმი 2 — მაღაროელი 1:4; მერცხალი — გზები 3:0; სოხუმი — ეგრისი 2:1; სამეგრელო — ოკრიბა 0:1; სულორი — ზუგდიდი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 18 | 15 | 2 | 1 | 44:12 | 47 |
| სულორი | 18 | 15 | 0 | 3 | 47:20 | 45 |
| საპოვნელა | 18 | 13 | 3 | 2 | 60:18 | 42 |
| ზუგდიდი | 18 | 13 | 2 | 3 | 37:15 | 41 |
| გურია 2 | 18 | 11 | 3 | 4 | 49:20 | 36 |
| მაღაროელი | 18 | 11 | 1 | 6 | 42:28 | 34 |
| კოლხეთი 2 | 18 | 9 | 6 | 3 | 31:16 | 33 |
| ინტერი | 18 | 9 | 1 | 8 | 28:29 | 28 |
| სალხინო | 18 | 9 | 1 | 8 | 27:29 | 28 |
| სქური | 18 | 8 | 3 | 7 | 29:33 | 27 |
| საირმე | 18 | 7 | 2 | 9 | 19:24 | 23 |
| ეგრისი | 18 | 7 | 1 | 10 | 30:30 | 22 |
| მეტალურგი 2 | 17 | 6 | 3 | 8 | 22:27 | 21 |
| გზები | 18 | 6 | 1 | 11 | 18:29 | 19 |
| ბათუმი 2 | 18 | 4 | 2 | 12 | 12:33 | 14 |
| სოხუმი | 18 | 3 | 4 | 11 | 21:40 | 13 |
| ჩიხურა | 18 | 4 | 1 | 13 | 15:45 | 13 |
| სამეგრელო | 17 | 3 | 2 | 12 | 21:41 | 11 |
| ლუკა | 18 | 3 | 2 | 13 | 18:53 | 11 |
| ოკრიბა | 18 | 3 | 0 | 15 | 13:41 | 9 |

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე“ მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

# საკონტინენტთაშორისო თასი

## ბაიერნი 1:0დ.დ.(0:0) ბოკა ხუნიორსი

ტოკიო. „ოლიმპიური“. მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია). 55 000 მაყურებელი

**1:0 კუფური (110)**

| | |
|---|---|
| კანი, სანიოლი, ლიზარაზუ, კუფური, რ. კოვაჩი, ნ. კოვაჩი (იანკერი 76), ფინკი, ჰარგრივსი (სფორცა 76), ელბერი, სერჟიო, კ. პიზარო (ტიამი 117)<br>მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი | ო. კორდობა, სკიავი, მარტინესი (კალვო 17), ბურდისო, კ. როდრიგესი, სერნა, ტრავერსო, ვილარეალი (პინტო 99), რიკელმე, მ. დელგადო, ბაროს შელოტო<br>მწვრთნელი: კარლოს ბიანკი |

გაფრთხილება: სერნა, დელგადო, კუფური, დელგადო, როდრიგესი, ჰარგრივსი, ბაროს შელოტო, ელბერი, სკიავი
გაძევება: დელგადო (45)



REUTERS ტოკიოდან

მე გავიტანე! „ბოკა ხუნიორსის“ კართან რია-რია სამუელ კუფურის გოლით დასრულდა

# თასი ბაიერნს, ტოიოტა კუფურს

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ სამუელ კუფურის 110-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით დაამარცხა ბუენოსაირესული „ბოკა ხუნიორსი“. გოლის 110-ე წუთზე გატანა კი ნიშნავს, რომ მეტოქეებს ამისთვის 90 წუთი არ ეყოთ და საქმე დამატებით დრომდე მივიდა. აქვე ალვნიშნოთ, რომ საკონტინენტთაშორისო თასისთვის მატჩში „ოქროს გოლის“ წესი არ მოქმედებს.

რამდენიმე დღის წინ აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელობის მაძიებელთა ნუსხა დავბეჭდეთ და დავუმატეთ, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი განელ მცველ კუფურს აქვსო. მართლაც კარგ თამაშს რომ თავი დავანებოთ, კაცმა ჩემპიონთა ლიგა და გერმანიის ჩემპიონატი მოიგო, რაც თავისთავად უმნიშვნელო ამბავი არ არის. ჰოდა, ახლა კუფურმა ჯილდოებს ტოკიოში ერთადერთი და, მაშასადამე, გადამწყვეტი გოლის ავტორობაც მიათვალა და აფრიკელ კონკურენტებს კიდევ ერთი თავით გაასწრო.

თუ მატჩის გმირობაზე მიდგა საქმე, ხუან რომან რიკელმეც უნდა გავიხსენოთ — არგენტინელი გამთამაშებელი, ურომლისოდაც „ბოკა ხუნიორსის“ არც ერთ იერიშს არ ჩაუვლია. და, აბა, რა მისი ბრალია, თანაგუნდელებმა მხარი რომ ვერ აუბეს? ყველაზე გამოსარჩევი მომენტი კი ის იყო, პირველ ტაიმში რიკელმემ მარსელო დელგადო რომ გაიყვანა ოლივერ კანთან პირისპირ, დელგადომ კი ეშმაკმა უწყის, საიდან დაარტყა. კანმა იქამდეც იყოჩაღა — საჯარიმო მოედნიდან გამოვარდა და ბურთი მოიგერია. ამ შემთხვევაშიც დელგადოსთვის განკუთვნილი პასი რიკელმესი იყო.

დელგადოზე ცალკეც უნდა ითქვას. მე-20 წუთზე მან სრულიად უწყინარ ვითარებაში პირველი ყვითელი ბარათი მიიღო — თამაშგარეში მოხვდა და მსაჯის სასტვენის შემდეგ კარში დაარტყა. მერე იყო ზემოთ აღწერილი მომენტები და პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში კიმ-მილტონ ნილსენმა ის გააძევა. ასე მოხდა: დელგადო, მიხვდებით ვინც, კანთან ისევ პირისპირ გაიყვანა. დელგადო გერმანელ მეკარეს გასცდა და წაიქცა. კანი მას არ შეხებია. არგენტინელმა ისე უხეიროდ ისიმულიანტა (რის მერეც ხელების შლა დაიწყო, პენალტი დადეო), დანიელმა არბიტრმა მოედნიდან შეუბრალებლად გააგდო. ამას მატჩის დასაწყისშივე მცველის, ხორხე დანიელ როდრიგესის დაშავებაც დავუმატოთ და ცხადი შეიქმნება, რომ მეორე ტაიმში „ბოკას“ ერთობ გაუჭირდა. საზოგადოდ კი, შესვენებამდე ისეთი სურათი იყო, რომ სამხრეთამერიკელები ძალების სრული დაძაბვით, ევროპელები კი აუღელვებლად თამაშობდნენ.

მეორე ტაიმში არგენტინელებს ნაღდი საგოლე მომენტები აღარ ჰქონიათ. ალბათ, კაცნაკლულობამ თავისი გაიტანა. გერმანელებმა კი ბოლოსკენლა გაამწვავეს იერიშები. ალბათ, ფიქრობდნენ, კიდევ ოცდაათ წუთს რა ითამაშებსო. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ სამხრეთამერიკელები ტრადიციულად დიდი სერიოზულობით ეკიდებიან „ტოიოტას“ თასისთვის მატჩს, რასაც ევროპელებზე ვერ ვიტყვით. აკი მატჩამდე ტოკიოში ერთი კვირით ადრე „ბოკას“ 15 ათასი ქომაგი ჩაჰყვა, ხოლო წინა დღით ჩასულ „ბაიერნს“ — თხუთმეტჯერ ნაკლები.

გერმანელთა გააქტიურებას კი ორი უაღრესად სახიფათო მომენტი მოჰყვა — 86-ე წუთზე ოსკარ კორდობამ რთული საჯარიმო დარტყმა მოიგერია და სამი წუთის მერე პაულო სერჟიოს ხამიოდე მეტრიდან დარტყმულს გადაეფარა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ არგენტინელთა კოლუმბიელმა მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა.

მერე იყო კვლავაც უგოლო პირველი დამატებითი ტაიმი და მერე, როცა პენალტების სერიამდე ათი წუთი რჩებოდა, თავში ნახსენები გოლი გავიდა. ჩირიაკო სფორცამ კუთხური ჩააწოდა, სამუელ კუფურის ამოკეტვა კი ვერავინ შეძლო.

ამრიგად, „ბოკა ხუნიორსი“ ვერ გახდა მეოთხე კლუბი — „მილანის“, „ნასიონალისა“ და „პენიაროლის“ შემდეგ, რომელთაც საკონტინენტთაშორისო თასი სამჯერ მოუგიათ.

კარლოს ბიანკიმაც ვერ შეძლო საკონტინენტთაშორისო თასის მესამედ მოპოვება — 1994 წელს მან „ველეს სარსფილდს“, ხოლო შარშან ამავე „ბოკა ხუნიორსს“ მოაგებინა თასი.

„ბაიერნმა“ კი მეოთხედი საუკუნის მერე ჯილდო მიუნხენში ჩაიტანა. მაშინ, 1976 წელს, ბრაზილიური „კრუზეირო“ ფრანც ბეკენბაუერმა და კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაამარცხეს, რომლებიც გუშინ საპატიო სტუმართა ლოჟაში ისხდნენ.

იმის გამოცნობა კი, ვინ დაასახელეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ და ვინ გაიმდიდრა ავტოფარეხი „ტოიოტათი“, ძნელი არ უნდა იყოს. ცხადია, ეს პატივი სამუელ კუფურს ერგო.

**გიორგი დარჯანია**




REUTERS

გუშინ „ბოკა-ბებიებიც“ ტიროდნენ

# საკონტინენტთაშორისო თასის ყველა ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1960 | რეალი (ესპანეთი) | 5:1 | პენიაროლი (უგურვაი) | (0:0) |
| 1961 | პენიაროლი (ურუგვაი) | 2:1 | ბენფიკა (პორტუგალია) | (0:1, 5:0) |
| 1962 | ბენფიკა (პორტუგალია) | 2:5 | სანტოსი (ბრაზილია) | (2:3) |
| 1963 | სანტოსი (ბრაზილია) | 1:0 | მილანი (იტალია) | (2:4, 4:2) |
| 1964 | ინტერი (იტალია) | 1:0დ.დ. (0:0) | ინდეპენდიენტე (არგენტინა) | (0:1, 2:0) |
| 1965 | ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 0:0 | ინტერი (იტალია) | (0:3) |
| 1966 | რეალი (ესპანეთი) | 0:2 | პენიაროლი (ურუგვაი) | (0:2) |
| 1967 | რასინგი (არგენტინა) | 1:0 | სელტიკი (შოტლანდია) | (0:1, 2:1) |
| 1968 | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 1:1 | ესტუდიანტესი (არგენტინა) | (0:1) |
| 1969 | ესტუდიანტესი (არგენტინა) | 2:1 | მილანი (იტალია) | (0:3) |
| 1970 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 1:0 | ესტუდიანტესი (არგენტინა) | (2:2) |
| 1971 | ნასიონალი (ურუგვაი) | 2:1 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (1:1) |
| 1972 | აიაქსი (ჰოლანდია) | 3:0 | ინდეპენდიენტე (არგენტინა) | (1:1) |
| 1973 | ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 1:0 | იუვენტუსი (იტალია) | |
| 1974 | ატლეტიკო (ესპანეთი) | 2:0 | ინდეპენდიენტე (არგენტინა) | (0:1) |
| 1975 | | არ ჩატარებულა | | |
| 1976 | კრუზეირო (ბრაზილია) | 0:0 | ბაიერნი (გერმანია) | (0:2) |
| 1977 | ბორუსია (მიონხენგლადბახი, გერმანია) | 0:3 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | (2:2) |
| 1978 | | არ ჩატარებულა | | |
| 1979 | ოლიმპია (პარაგვაი) | 2:1 | მალმიო (შვედეთი) | (1:0) |
| 1980 | ნასიონალი (ურუგვაი) | 1:0 | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) | |
| 1981 | ფლამენგო (ბრაზილია) | 3:0 | ლივერპული (ინგლისი) | |
| 1982 | პენიაროლი (ურუგვაი) | 2:0 | ასტონ ვილა (ინგლისი) | |
| 1983 | გრემიო (ბრაზილია) | 2:1დ.დ. (1:1) | ჰამბურგი (გერმანია) | |
| 1984 | ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 1:0 | ლივერპული (ინგლისი) | |
| 1985 | იუვენტუსი (იტალია) | 4:2პენ. (2:2) | არგენტინოს ხუნიორსი (არგენტინა) | |
| 1986 | რივერ პლეიტი (არგენტინა) | 1:0 | სტიაუა (რუმინეთი) | |
| 1987 | პორტუ (პორტუგალია) | 2:1დ.დ. (1:1) | პენიაროლი (ურუგვაი) | |
| 1988 | ნასიონალი (ურუგვაი) | 7:6პენ. (2:2) | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | |
| 1989 | მილანი (იტალია) | 1:0დ.დ. (0:0) | ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) | |
| 1990 | მილანი (იტალია) | 3:0 | ოლიმპია (პარაგვაი) | |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 3:0 | კოლო კოლო (ჩილე) | |
| 1992 | სან პაულუ (ბრაზილია) | 2:1 | ბარსელონა (ესპანეთი) | |
| 1993 | სან პაულუ (ბრაზილია) | 3:2 | მილანი (იტალია) | |
| 1994 | ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 2:0 | მილანი (იტალია) | |
| 1995 | აიაქსი (ჰოლანდია) | 4:3პენ. (0:0) | გრემიო (ბრაზილია) | |
| 1996 | იუვენტუსი (იტალია) | 1:0 | რივერ პლეიტი (არგენტინა) | |
| 1997 | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) | 2:0 | კრუზეირო (ბრაზილია) | |
| 1998 | რეალი (ესპანეთი) | 2:1 | ვასკუ და გამა (ბრაზილია) | |
| 1999 | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 1:0 | პალმეირასი (ბრაზილია) | |
| 2000 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2:1 | რეალი (ესპანეთი) | |

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელებმა „აიაქსმა“ (1971 და 1973 წლებში), „ლივერპულმა“ (1977) და „ნოტინგემ ფორესტმა“ (1979) თამაშზე უარი თქვეს, რის გამოც ისინი ფინალისტებმა შეცვალეს. 1993 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ ფრანგულ „მარსელს“ უეფამ თამაშის უფლება ჩამოართვა

# ვინ ჩაჯდა ტოიოტაში

| | | |
|---|---|---|
| 1980 | ვალდემარ ვიტორინიო | ნასიონალი (ურუგვაი) |
| 1981 | ზიკო | ფლამენგო (ბრაზილია) |
| 1982 | ჟაირ გონსალვეში | პენიაროლი (ურუგვაი) |
| 1983 | რენატო გაუჩო | გრემიო (ბრაზილია) |
| 1984 | ხოსე პერკუდანი | ინდეპენდიენტე (არგენტინა) |
| 1985 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი (იტალია) |
| 1986 | ანტონიო ალსამენდი | რივერ პლეიტი (არგენტინა) |
| 1987 | რაბაჰ მაჯერი | პორტუ (პორტუგალია) |
| 1988 | სანტიაგო ოსტოლასა | ნასიონალი (ურუგვაი) |
| 1989 | ალბერიგო ევანი | მილანი (იტალია) |
| 1990 | ფრანკ რაიკარდი | მილანი (იტალია) |
| 1991 | ვლადიმირ იუგოვიჩი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| 1992 | რაი | სან პაულუ (ბრაზილია) |
| 1993 | ტონინიო სერეზო | სან პაულუ (ბრაზილია) |
| 1994 | ომარ ასადი | ველეს სარსფილდი (არგენტინა) |
| 1995 | დანი ბლინდი | აიაქსი (ჰოლანდია) |
| 1996 | ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი (იტალია) |
| 1997 | ანდრეას მიოლერი | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) |
| 1998 | რაული | რეალი (ესპანეთი) |
| 1999 | რაიან გიგზი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| 2000 | მარტინ პალერმო | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) |

# დაზეთილი ჯამბაზი და სამი თითის კომბინაცია

**მტერს და ავს**, რაც ამ დღეებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგ მეკარეს, ფაბიენ ბარტეზს დაატყდა მელოტ თავს. ინგლისური პრესა ერთსულოვანია და შეუვალი. კერძოდ:

*„ივნინგ სტანდარტი“*: „ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ფაბიენ ბარტეზის ექსტრავაგანტური გამოხდომების მშვიდად აღქმაც შეიძლება. მისი სახე უკეთეს შემთხვევაში ცირკის მასხარას მოწყენილ სახეს ჰგავს და, შესაძლოა, უთანაგრძნოთ კიდეც, მან ხომ გუნდი უარესი შედეგისგან იხსნა. აბა, როგორ დავიჯეროთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი საკუთარი თავის განადგურებას შედგომია. „ბლექბერნი“, „დეპორტივო“, „ლივერპული“, „არსენალი“... მის გამო მცველები ნერვიულად თამაშობენ“.

*„გარდიანი“*: „იქნებ ბარტეზი ასე უგულისყუროდ იმიტომ თამაშობდა, რომ სერ ალექს ფერგიუსონის დუმილი თანაბრად ვრცელდება როგორც პრესაზე, ასევე გასახდელზე? აგვისტოს მერე მან იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ახალი წლისთვის მთელი კასეტის გამოშვებაც კი შეიძლება. არსენ ვენგერმა მას მსოფლიო დონის მეკარე უწოდა, მაგრამ, გვერწმუნეთ, ეს დიდი ირონიით იყო ნათქვამი“.

*„თაიმზი“*: „ჰაიბერიზე“ დატრიალებულ ტრაგიკომედიაში ბარტეზი ცენტრალური ფიგურა იყო. იმედია, ბოლოს და ბოლოს, ფერგიუსონი თავის მოტყუებას შეეშვება და მიხვდება, რომ სწორედ მისი ამოუცნობი მეკარე გახლდათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მთავარი მიზეზი. იმ გუნდისთვის, რომელსაც დაუმარცხებელს უწოდებენ, ასე თამაში სამარცხვინო იყო. გასაკვირი არაა, რომ მწვრთნელი პრესასთან ურთიერთობისთვის თავის არიდებას ცდილობს. მის გრძნობებს ხომ ყველაზე სქელტანიანი ლექსიკონის გამოყენებითაც ვერ გამოხატავთ“.

*„მირორი“*: „საინტერესოა, რომ ბარტეზს მოედნის გმირად დატოვება შეეძლო, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დადგა. თავიდან ანრისა და კანუს დარტყმები საუცხოოდ მოიგერია“.

მელოტ ფრანგს შესაძლოა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთანაც გაურთულდეს საქმე. სხვასთან ერთად და მან „არსენალის“ ქომაგებს სამი თითის გამოყენებით ერთი ცნობილი ჟესტი აჩვენა, რაც ვიდეოკასეტაზე ყოფილა აღბეჭდილი.

და თითქოს ამას ვინმე ელოდა, ხმა ერთ-ერთი [illegible] აიმაღლა [illegible] ბარტეზი ზეთის რეკლამირებაზე დაითანხმოს. მოტივი: ფრანგი ისეთ გოლებს უშვებს, ნამდვილად დაზეთილი იქნება. მაღაზიის ერთ-ერთმა შეფმა განაცხადა: „კვირის შემდეგ ეჭვი არავის ეპარება, რომ ბარტეზს ფერგიუსონთანაც დაზეთილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდება“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ფაქტები და ინფარქტები ფაბიენ ბარტეზისგან



ფაბიენ ბარტეზმა ალექს ფერგიუსონს სიმწრისგან ტუჩები ბევრჯერ აკვნეტინა



არსენალთან




ქომაგთა აზრი ბარტეზზე, პრემიერლიგის მეკარეებში მსოფლიოს ჩემპიონი მეოცეა



ლივერპულთან





დეპორტივოსთან



ნიუკასლთან

# ვისთვისღაა უცხო ჰილი!

## კოეფიციენტები მსოფლიოსთვის

**გაირკვა** თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა ნაკრები, საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა“ უმალ გამოაქვეყნა კოეფიციენტები მომავალი მუნდიალის გამარჯვებულის გამოცნობაზე. მეფსონეობაში ჩახედულთ არ ესწავლებათ, რომ დაბალი კოეფიციენტი და ძლიერი გუნდი ერთმანეთის პროპორციულია. უფრო გასაგები ენით: რაც უფრო ძლიერია ესა თუ ის გუნდი მეორეზე, მით ნაკლებია მის მოგებაზე დაწესებული კოეფიციენტი. თუმც აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ კოეფიციენტის მინიმალურ დონემდე სიმცირეც კი ძლიერის სუსტთან მოგების ასპროცენტიან გარანტიას არ იძლევა...

მაგრამ კოეფიციენტი მაინც კოეფიციენტია და ხშირად სწორედ მისი საშუალებით ირკვევა, ამა თუ იმ ბუქმეიკერს კონკრეტული მატჩისა თუ ტურნირის მოგებაზე რომელი გუნდი შეურჩევია ფავორიტად.




31 მაისიდან 30 ივნისამდე ბევრი ასეთი ქვითარი შეივსება

ახლა ზოგადი მიმოხილვიდან კერძო ნაწილზე გადავიდეთ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოქვეყნებულ „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტებში ჩავიხედოთ.

პირველ საფეხურზე არგენტინის ნაკრებია, რაც იმის ნიშანია, რომ მარსელო ბიელსას გუნდი უპირველესი ფავორიტია. ანუ მის მოგებაზე „ჰილის“ კანტორაში შეტანილი ყოველი გირვანქა (ვაი, რომ „უილამ ჰილში“ ჩვენებური ლარი ვერაფერში გამოგადგებათ) ოთხნახევარ გირვანქად გექცევათ. თუმც ამისთვის გაისად 30 ივნისამდე მოგიწევთ მოცდა და თან უპირობო ულტიმატუმი უნდა შესრულდეს — არგენტინამ მოიგოს ოქროს თასი. მეორე ფავორიტი საფრანგეთია — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი არგენტინაზე ერთი გირვანქით მეტს მოგაგებინებთ.

ერთი რვად გექცევათ, თუ იტალიას, ინგლისსა და ბრაზილიას ჩაწერთ ქვითარში. ამის მერე სიაში ესპანეთი (13,0) პორტუგალია (17,0) და გერმანია (17,0) მოდიან. შემდეგი ნაკრებების და მათი ფსონების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, ბოლო ორ ნაკრებზე ვთქვათ, „ჰილს“ ყველაზე სუსტად და უშანსოდ რომ მიუჩნევია — ეს ჩინეთი და საუდის არაბეთია. თუ პირველი მოიპოვებს თასს, თქვენ ერთ გირვანქაში 200 გირვანქას მიიღებთ, ხოლო თუ არაბებმა იყოჩაღეს, 250 გირვანქას ჩაიჯიბავთ.

**ნიკა შუბლაძე**

# მდიდრები აღარ ტირიან



რიჩარდ სკუდამორი

**გაფიცვა** აღარ შედგება — ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ თავისას მიაღწია და მომავალი სამი სეზონის განმავლობაში 52,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. ასე რომ, კვლავ უცქირეთ პრემიერლიგას და ისიამოვნეთ.

პრესკონფერენცია, რომელზეც ეს გადაწყვეტილება გამოცხადდა, რამდენჯერმე გადაიდო და დაგეგმილზე ოთხი საათით გვიან დაიწყო. პირველი, ვინც მოსახლეობას კარგი ამბავი ამცნო, საფეხბურთო ლიგის (ის სამ ქვედა დივიზიონს აერთიანებს) თავკაცი ადამ კროზიე გახლდათ, მერე პრემიერლიგის თავმჯდომარემ რიჩარდ სკუდამორმა თქვა: გაფიცვა აღარ შედგება და წესით, მომღიმარი სახე უნდა მქონდეს, მაგრამ უბრალოდ ძალიან დავიღალეო.

გუნდის პროგრესზე საუბარი გვერდზე გადავდოთ და უბრალოდ ვთქვათ, რომ „მემფის გრიზლიზმა", მას შემდეგ, რაც მის სახელში „ვანკუვერი" აღარ ფიგურირებს, მეორედ მოიგო. „დათვებმა" აჯობეს არა ცხრილის ფსკერის რომელიმე მხეხავს, არამედ თავად „საკრამენტო კინგზს", რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კრის ვებერი არ ჰყავს, მაინც მეფესავით თავმოღერილი მიაბიჯებს და „მემფისზე" ბევრად ძლიერებს, როგორც წესი, იოლად აჩოქებს.

ლოგიკით „მემფისს" უნდა წაეგო, რადგან ორი პირველი მექულე (და მეფარე) — ლორენცენ რაიტი და სტრომილ სვიფტი აკლდა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ „გრიზლიზი" „საკრამენტოზე" ბევრად სუსტი გუნდია. მაგრამ მოხდა სასწაული და გრანდი შინ ნაწყენი გაბრუნდა, თუმც კი გამარჯვებულები მატჩის შედეგს სენსა[illegible]რად არ თვლიან, ვიმსახურებდით[illegible], ამბობენ.

სტუმრები ისევ ყოფილმა თავისიანმა იმსხვერპლა. ლიგის ყველაზე ცანცარა კალათბურთელი, ამპლუით გამთამაშებელი ჯეისონ ვილიამსი ამ სეზონთაშორის პერიოდში „საკრამენტოდან" გადავიდა „მემფისში". „კინგზმა" მის სანაცვლოდ ასევე გამთამაშებელი მაიკ ბიბი მიიღო. ეს უკანასკნელი გუშინწინ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ჩაგრა[illegible]ა ვილიამსს, მაგრამ შეხვედრის ბოლ[illegible] წუთებზე ვითარება შეიცვალა. ბოლო მეოთხედში მასპინძელთა მწვრთნელმა სიდნი ლოუმ ვილიამსი სათადარიგო ბრევინ ნაითით შეცვალა და თითქოს ძირითადი გამთამაშებლის დაბრუნებას აღარც აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ვილიამსი კვლავ გამოჩნდა მოედანზე. გამოჩნდა და მაშინვე სამქულიანი ააცილა, რამაც „საკრამენტოს" 92:87 დაწინაურების საშუალება მისცა. მემფისელი არ დაბნეულა, სამიანი კიდევ გაისროლა და 92:90 გახადა. შემდეგ სწრაფ გარღვევაზე შეინ ბეტიე ფართან მარტო დატოვა და გაათანაბრებინა, თავადაც გამოიღო ხელი, პაუ გასოლის აცილებულს დაამატა და „დათვები" მთელ თამაშში პირველად დაწინაურდნენ. დარჩენილ წუთნახევარში „საკრამენტო" ბევრს ბორგავდა, „მემფისთან" წაგების პერსპექტივა, ცხადია, არ ხიბლავდა, მაგრამ სტუმრებმა კვლ[illegible] ვერ მოარგეს გასაღები ყოფილ თა[illegible]ისიანს. ვილიამსმა ბოლო წუთზე ხუთი მეტრიდან ჩააგდო და წამები რომ რჩებოდა, ორი საჯარიმოთი წერტილიც დასვა.

„განა ბედის ირონია არ არის? გაყიდულმა მოთამაშემ მოუგო თავის გამყიდველს. თითქოს ამგვარმა ამბებმა უნდა დაკარგოს აქტუალობა. ლამის ყოველდღე ვიღაც ხვდება ყოფილ გუნდს და უგებს, მაგრამ ამის აღნიშვნა და ხაზგასმა არავის ბეზრდება. დღეს ჩვენ ალბათ ვერ მოვიგებდით, ჯეისონს წინა სეზონში ზოგიერთ თამაშში ცოტა რომ არ ეზარმაცა და „კინგზს" მისი გაცვლა არ მოეწადინებინა" — ამბობს მემფისელი ახალბედა შეინ ბეტიე.

ამ მოულოდნელმა გამარჯვებამ მაინც ვერ წასწია „მემფისი" ცხრილში. „დათვები" კვლავ რჩებიან დასავლეთში ერთპიროვნულ აუტსაიდერებად და უახლოეს მეზობელ „იუტა ჯაზს" სამი გამარჯვებით ჩამორჩებიან.

სრულიად განსხვავებული რამ ხდებოდა მემფისიდან ორი ათასი კილომეტრის მოშორებით, მზიურ ორლანდოში: იქაური „ორლანდო" „დეტროიტთან" აგებდა მიუხედავად იმისა, რომ ექსდეტროიტელი გრანტ ჰილი ჰყავს. ჯეისონ ვილიამსისგან განსხვავებით, ჰილს არ გაჰყვა „დეტროიტის" ჯავრი, რადგან იქიდან თავისი სურვილით წავიდა. პირიქით, იქაურებმა ლამის დაუჩოქეს, ნუ დაგვტოვებო. ამდენად ყოფილი გუნდის წინააღმდეგ პირველ თამაშში თავი არ გაუგიჟებია, თანაც ამას ვერც მოახერხებდა, რადგან ქუსლი ასტკივდა, რომელზეც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ორჯერ გაიკეთა ოპერაცია. ჰილმა „პისტონზს" მხოლოდ 14 ქულა ჩაუგდო. სამაგიეროდ, თავი გამოიდეს ჰილის თანაგუნდელებმა და ერთბაშად სამმა მათგანმა მოიხვეჭა ოც ქულაზე მეტი, მაგრამ მასპინძლებს ესეც არ ეყოთ. ფლორიდელებმა ვერ გააჩერეს სტუმართა მხცოვანი თავდამსხმელი კლიფ რობინსონი და ვერც ჩაკი ეტკინსს შეუშალეს ხელი ბოლო წუთზე უმნიშვნელოვანესი სამიანის სროლისას. სხვათა შორის, ეტკინსი ყოფილი ორლანდოელია, შარშან ზაფხულში კლუბმა ის და ბენ ვოლესი გრანტ ჰილში გაუცვალა „დეტროიტს".

„იუტა ჯაზმა" ისევ დათმო შინაური შეხვედრა, კვლავ დამატებით დროში. მასპინძელთა ორმოც წელს მიღწეულმა გამთამაშებელმა ჯონ სტოქტონმა 18 ქულა გაუხერხა თავისიანებს, მაგრამ საკუთარი კალათის დაცვისას მასზე ახალგაზრდა (ლამის შვილად ერგება), მარდ და მოქნილ სტივენ მარბერის დაეჩაგვრინა და „ჯაზის" მარცხის უმთავრესი მიზეზიც ესაა. მარბერიმ ნამატჩევს თავაზიანობა გამოიჩინა და შეაქო დაბერებული პასების მეფე. „ჯონი ცოცხალი სახელმძღვანელოა, ის ნებისმიერ მოძრაობას ზუსტად აკეთებს და ყოველთვის იცის, რისი გაკეთებაა საჭირო. უბრალოდ, ასაკმა სისწრაფე წაართვა. ვწუხვარ, რომ ათი წლით უფროსი არ ვარ და მასთან პაექრობის საშუალება მაშინ არ მომეცა, როცა ის საუკეთესო ფორმაში იყო" — თქვა მარბერიმ.

„ნიუ იორკ ნიქსმა" ძირითადი ცენტრის და ერთადერთი ხეირიანი მეფარის მარკუს კემბის ტრავმისშემდგომი დებიუტი „ატლანტას" ძლევით აღნიშნა. თავად კემბი თავის გუნდს 18 ქულითა და 10 მოხსნით შეეწია.

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS ორლანდო — დეტროიტი. ბენ ვოლესმა ორლანდოელ ტრეისი მაკგრეიდის ჩატენვა წესის დარღვევით ჩაუშალა

## კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**
**შარიფ აბდურ-რაჰიმი •ატლანტა•**



**დასავლეთი**
**ტიმ დანკანი •სან ანტონიო•**



**წინა** სეზონების პრინციპით გამართულ კვირის მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში პირველობას არავის დაუთმობდა ერთ თამაშში 50 ქულის მომხვეჭი ატლანტელი ჯანიანი ფრთა შარიფ აბდურ-რაჰიმი. იგი ახლაც პირველია, მაგრამ ამ მცირე ტიტულში მოზიარეც ჰყავს. შარიფი განვლილი კვირის განმავლობაში მოედანზე თუნდაც წამით შემოსულ ყველა აღმოსავლელზე საუკეთესოდ დასახელდა, ხოლო ნბა-ს დასავლეთ ნახევარში ამ წოდებას „სან ანტონიოს" 213-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრი ტიმ დანკანი დაეუფლა (სხვათა შორის, დანკანი უკვე მეორედ სახელდება დასავლეთში საუკეთესოდ).

კვირის მოთამაშედ ჩვეულებრივ ისეთს აღიარებენ ვისი გუნდიც ყველა მეტოქეს ჯაბნის. მართალია „ატლანტამ" კვირის განმავლობაში შემხვედრი ოთხი გუნდიდან მხოლოდ ორი გაანაწყენა, ტიტული მაინც აბდურ-რაჰიმს ერგო და მასზე ალალიცაა. შარიფს, რაც ნბა-ს დიდი ოჯახის წევრია, 40 ქულაც არასდროს მოეხვეჭა, პარასკევს „დეტროიტს" კი ერთბაშად 50 ჩაუგდო და თავისიანებს წაგებული თამაში შემოაბრუნებინა. იგი არც სხვა მატჩებში მდგარა უქმად და ოთხ თამაშში საშუალოდ 30,3 ქულა, 12,3 მოხსნა, 2,8 პასი და 2,3 დაფარება მოუგროვდა.

ტიმ დანკანმა „სან ანტონიოს" სამი თამაშიდან ორი მოაგებინა, თავად კი საშუალოდ 27 ქულა, 16,3 მოხსნა, 5,7 პასი და 23 დაფარება გაიღო.

დასავლეთში დანკანის გარდა თა[illegible] გამოიჩინეს დალასელმა სტივ ნეშმა, კლიპერსელმა ელტონ ბრენდმა და საკრამენტოელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა.

გაცილებით გრძელია აბდურ-რაჰიმის კონკურენტთა სია. აღმოსავლელთაგან წინა კვირა რიგიანად განვლეს ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდიმ, მილუოკელმა გლენ რობინსონმა, ინდიანელმა ჯამაალ ტინსლიმ, ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა და ნიუჯერსელმა ჯეისონ კიდმა.


გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

შიტორიუ კარატე-დო
კოფუკანის კლუბი „სოდანი"
აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-დან 16 წლამდე.
ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური, I და III დანის ინსტრუქტორები.
ტარდება შეჯიბრებები საქართველოშიც და უცხოეთშიც, ასევე ეწყობა ქამრის (ხარისხის) მისანიჭებელი გამოცდები და გაიცემა სერთიფიკატი.
ამ კლუბში გაიზარდნენ მსოფლიო და ევროპის პრიზიორები და საქართველოს მრავალი გზის ჩემპიონები ყოველ წელს თბილისში ჩამოდის იაპონიის კარატე-დო კოფუკანის ფედერაციის პრეზიდენტი, VII დანის მფლობელი კეიჯი ტომიამა რომელიც ატარებს სემინარებს და გამოცდებს.
გთხოვთ, მობრძანდეთ



ვარჯიშები ტარდება:
მე-60 საშუალო სკოლაში
ორშაბათს, ხუთშაბათს საღამოს 15 - 17, საათი შაბათს 13 - 15 საათი.
მეტრო ელექტრო დეპოსთან ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე
ორშაბათი, ოთხშაბათი პარასკევი საღამოს 16 - 18 საათი
ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55 მალხაზ ჭუმბურიძე

ტესტ მატჩები

# ვუდვორდის და საფრანგეთის რეკორდები



შოტლანდია — ახალი ზელანდია. ჯონ ლესლიმ (№ 12) და გრეგ თაუნსენდმა ახალზელანდიელი რიჩარდ მაკაუ გამოიჭირეს, მან კი თანაგუნდელ ტანა უმაგას ბურთი მაინც გადააწოდა

### თვიქენემი

**ინგლისი 29:9 სამხრეთ აფრიკა**

**ინგლისი: რობინსონი, ო. ჰილი, გრინვუდი, კეტი (ტინდელი), ლუგერი, უილკინსონი, ბრაკენი; როუნთრი, უესტი, ვიკერი, ჯონსონი (კეი), გრიუკოკი, რ. ჰილი (მუდი), ბეკი, უორსლი**

**1 ლ: ლუგერი; 7 ს: უილკინსონი; 1 ა: კეტი**

**სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, პოლსე, ჰალსტიდი, ფან სტრაატენი, პოლი, კოენი, ვან დერ ვესტჰოიზენი; ლე რუ, სმიტი (ფან ბილიონი), მეიერი (ფისახი), მეტფილდი, ენდრიუსი (ა. ფენტერი), ფოსი, (კრიჩე), ა. ჯ. ფენტერი, სკინსტედი**

**3 ს: ფან სტრაატენი**

წინა შაბათს ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ქულების რეკორდი დაამყარა და ევროპის ერთა თასზე საქართველოს მეტოქე რუმინეთი მიწასთან გაასწორა — 134:0.

ამ უქმეებზე კი ბრიტანელებმა სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს" თვიქენემში უმასპინძლეს და მათი ძლევაც შეძლეს. ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი, ინგლისელი „ლომების" მთავარი მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი პირველი ევროპელი შეიქნა, ვინაც ზედიზედ ხუთ ტესტში სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენელი დაამარცხა.

მასპინძლებმა მატჩი მშვენივრად ჩაატარეს. ბრიტები ერთობ კარგად ინარჩუნებდნენ ბურთს და ეფექტურად ათამაშებდნენ, შეტევაზეც გააზრებულად გადადიოდნენ და დაცვაშიც ყურადღებით ირჯებოდნენ. მატჩის გმირი კი ინგლისელთა ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯონი უილკინსონი გახდა. ამ 22 წლის გარე ნახევარმცველმა თავისი დირიჟორული თვისებების წყალობით ბლომად პასები არიგა და კარშიც რიგიანად ურტყა. მან ცხრა ცდიდან მხოლოდ ორჯერ ვერ უსწორა მიზანს, საბოლოოდ 21 ქულა მოიხვეჭა და ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში. უილკინსონს დან ლუგერმაც აუბა მხარი, ვინაც თავისი მე-17 სანაკრებო ლელო გაიტანა, შუამარბმა მაიკ კეტმა კი ერთი არეკნი ამოჰკრა.

ნამატჩევს ბრიტანელთა მოძღვარი კლაივ ვუდვორდი ფრიად გახარებული იყო. ხუმრობა ხომ არ არის, ბოლო ორი წლის მანძილზე ორჯერ ავსტრალიას და სამჯერ სამხრეთ აფრიკას აჯობო. ახლა ინგლისის ნაკრებს ახალზელანდიელებთან და ავსტრალიელებთან ერთად 2003 წელს გასამართი მსოფლიოს თასის მთავარ ფავორიტად მიიჩნევენ. „ქურციკების" დამრიგებელი ჰარი ფილიუნს კი გუნდში სერიოზული ცვლილებების განხორციელება მოუწევს — რაგბის მსოფლიოს ფორუმამდე ხომ ორადორი წელი დარჩა. ფილიუნის სამშობლოში შიშობენ, ვაითუ ეს დრო არ გვეყოს და „ქურციკებმა" ავსტრალია — ახალ ზელანდიაში გვარიანი სირცხვილი ჭამონო.

### კარდიფი

**უელსი 13:21 ავსტრალია**

**უელსი: მორგანი, პროქტორი, რობინსონი (რ. უილიამსი), ჰარისი, გარეთ ტომასი, ს. ჯონსი, ჰაული; ჯონი (დ. ჯონსი), მაკბრაიდი (ბ. უილიამსი), მორისი, გაფი (უაიატი), მური, ჩერვისი, სინჯინსონი (გევინ ტომასი), ს. ქვინელი**

**1 ლ: გევინ ტომასი; 1 გ: ჰარისი; 2 ს: ჰარისი**

**ავსტრალია: ბერკი, თიუნი, ბონდი (ს. კეფუ), ფლეტლი; როფი (ლეითემი), ლარკემი, გრეგანი (ვაითეკერი); სტაილზი, ფოლი (კენონი), დარვინი (მური), კოკბეინი (ჰარისონი), გიფინი, ფინეგანი, ფო (სმიტი), ტ. კეფუ**

**7 ს: ბერკი**

ერთი კვირის წინ ტონგას მძლეველმა, ერთობ გადახალისებულმა უელსმა ავსტრალიას უმასპინძლა და დამარცხდა. უელსელთა ახალზელანდიელ მწვრთნელ გრემ ჰენრის ირლანდიასთან და არგენტინასთან „მილენიუმზე" წაგებული ტესტების შემდეგ წყალი ჰქონდა შეყენებული, ტონგას ძლევით კი შეძლო, თანამდებობა შეენარჩუნებინა. თუმც საკითხავი დარჩა, აპატიებენ თუ არა „ვოლაბებთან" უსახურ თამაშს.

იმის შიშით, არ წავაგოო, ჰენრიმ დაცვითი ტაქტიკა ირჩია. მან კვლავ ძირითადში დააყენა იესტინ ჰარისი, რომელმაც სულ ახლახან დატოვა ცამეტკაცა რაგბი. ჰარისი ამჯერადაც კარგად გაისარჯა. ორი საჯარიმო შეაგდო და გევინ ტომასის გვიანი ლელოც გარდასახა, მაგრამ მარტო მისი მონდომება უელსელებს ვერაფერში წაადგა.

ჰენრის არჩეულმა ტაქტიკამ გარკვეულწილად გაამართლა. მასპინძლებმა ავსტრალიელთა ზეწოლას გაუძლეს, დაცვაში ერთ კედლად აღიმართნენ და „ვოლაბებს" ლელო არ გაატანინეს, მაგრამ ხშირად ჯარიმდებოდნენ, რითაც მეტ ბერკი შესაშური სიზუსტით სარგებლობდა. ავსტრალიელებს ყველა ქულა სწორედ მან მოუტანა — ბურთი შვიდჯერ ჩაჭედა მეტოქის კარში.

### მარიფილდი

**შოტლანდია 6:37 ახალი ზელანდია**

**შოტლანდია: ლეინი, სტილი, მაკლარენი, ლესლი (ჰენდერსონი), პატერსონი, თაუნსენდი, ნიკოლი (ბერნსი); სმიტი, ბალოკი (ს. სკოტი), სტიუარტი (გრემი), ს. მიურეი (ფულარტონი), გრიმსი, უაიტი, მოუერი, სიმპსონი (ტეილორი)**

**2 ს: პატერსონი**

**ახალი ზელანდია: მაკდონალდი (ბლერი), ჰოულეტი, უმაგა, მაუგერი, ლომუ, მერთენსი, კელეჰერი (რობინსონი); ფიკი (ჰიუეტი), ოლივერი, სომერვილი, ჯეკი, მაქსველი, თორნი, მაკკაუ, რობერტსონი**

**3 ლ: უმაგა, რობინსონი, ლომუ; 2 გ: მერთენსი; 6 ს: მერთენსი**

ახალმა ზელანდიამ ჯონ მიტჩელის თავკაცობით მეორე მატჩი ითამაშა. ირლანდიელთა დაჩოქების შემდეგ „ოლ ბლექსმა" შოტლანდიაში გადაინაცვლა და იქაც შავი დღე აყარა მასპინძლებს.

არადა, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში შოტლანდიელები გვარიანად უძალიანდებოდნენ მეტოქეს. მათმა გარემარბმა კრის პეტერსონმა ორი საჯარიმო გოლად აქცია, რასაც ენდრიუ მერთენსმა სამი გოლით უპასუხა. ტაიმიც ასე მორჩა — 6:9.

შესვენებიდან მოყოლებული კი მოედანზე სტუმრები გაბატონდნენ და თავიანთი დამრიგებელი ფრიად ასიამოვნეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მიტჩელის ახალი აღმოჩენა, შუამარბი აარონ მაუგერი, ვისი სანაკრებო დებიუტიც გასულ კვირას ირლანდიასთან შეხვედრაში შედგა. მაუგერმა ამჯერადაც ივარგა და ტანა უმაგასთან ერთად დაცვის ცენტრში საიმედო წყვილი შექმნა.

პირველი ლელო უმაგამ გაიტანა, როდესაც ლევან ცაბაძის კასტროელი თანაგუნდელის, გრეგ თაუნსენდის პოზიციური შეცდომით ისარგებლა. მერე კი შეცვლაზე შესულმა მარკ რობინსონმა გამოიჩინა თავი. ამათი შემყურე „ოლ ბლექსის" საუკეთესო მელელოვე ჯონა ლომუც თამაშის იშტაზე მოვიდა და მესამედ დაალელოვა შოტლანდიელები, რითაც ნაკრებში გატანილი ლელოების რაოდენობა 33-მდე გაზარდა.

ვინაიდან ენდრიუ მერთენსმა სამიდან ორი ლელო გარდასახა და ზედ სამი ჯარიმაც დაურთო, შოტლანდიელებს მატჩის გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ დარჩათ.

### სენტ ეტიენი

**საფრანგეთი 77:10 ფიჯი**

**საფრანგეთი: პუანტრენო (ჟანჟანი), დომინისი, მარში, ტრაი, ბორი (რუჟერი), მერსერონი, გალტიე (მიშალაკი); კრანჯა, იბანიესი (ბრუ), დე ვილიე (პუ), ორადუ (ნალე), პრივატი, ბეტსენი, მანი (შაბალი), ტაბაკო**

**12 ლ: ბეტსენი (2), დომინისი (2), რუჟერი (2), გალტიე, ბორი, პუანტრენო, მანი, ჟანჟანი, პუ; 7 გ: მერსერონი; 1 ს: მერსერონი**

**ფიჯი: 1 ლ: ლასაგაბივაუ; 1 გ: ლითლი; 1 ს: ლითლი**

საფრანგეთმა ოკეანეთის წარმომადგენელ ფიჯის უმასპინძლა და მეტოქის დაცვიდან ქვა ქვაზე არ დატოვა.

ფრანგებმა ამ გამარჯვებით ორმაგად გაიხარეს. მათ აქამდე 77 ქულა არ გაეტანათ და 67 ქულის სხვაობით ვერავინ დაემარცხებინათ. ფრანგებმა სარეკორდოდ ბევრი ქულა 1987 წელს მსოფლიოს თასზე ზიმბაბვესთან მოიხვეჭეს, როდესაც მოწინააღმდეგეს 70:12 მოუგეს და შესაბამისად, 58 ქულით სძლიეს. ასე რომ, რეკორდის გასაუმჯობესებლად ევროპელებს მთელი თოთხმეტი წელი დასჭირდათ. ფრანგებმა მეტოქეს თორმეტი ლელო აკმარეს. ვისაც არ დაეზარა, ყველამ დაალელოვა ფიჯელები. გარე ნახევარმცველმა ჟერალდ მერსესონმა კი შვიდი გარდასახვით და ერთი საჯარიმოთი შეიტანა თავის წვლილი ფრანგების სარეკორდო გამარჯვებაში.

### ლაკვილა

**იტალია 9:17 სამოა**

**იტალია: მარტინი (ძანოლეტი), პაჩეცებონი, სტოიკა, დალანი, როდრიგესი, ტრონკონი; დე კარლი, მოსკარდი, მურარო (ლო ჩიჩერო), ვიზერი, ბორტოლამი, ბენატი (პერსიკო), ბერგამასკო, ჰეკინატო**

**3 ს: დომინგესი**

**სამოა: 1 ლ: ფაატაუ; 4 ს: ვილი (3), ლაეგა**

ახალგაზრდა და გამოუცდელი მორაგბეებით ესტუმრა სამოა იტალიას, თუმც ესეც საკმარისი აღმოჩნდა, აპენინელები ზედიზედ მეორე ტესტ-მატჩში რომ დამარცხებულიყვნენ.

სამოელებმა ერთი ლელო და ოთ... საჯარიმო გაუტანეს იტალიელებს, თუმცა გაცილებით მეტს შეძლებდნენ, შეტევაში ბლომად ბურთები რომ არ დაეკარგათ.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელთა უდავო ლიდერი დიეგო დომინგესი ნაკრებში მეორედ დაბრუნდა, მასპინძლებმა დიდი ვერაფერი რაგბი აჩვენეს. თვითონ დომინგესმა კი მაინც გაიტანა თავისი: მეტოქეს სამი ჯარიმა შეუგდო და ნაკრებში თავისი მონაგ... 949 ქულამდე გაზარდა.

### სევილია

**სამხრეთ აფრიკა „ა" 28:13 ესპანეთი**

**სამხრეთ აფრიკა „ა" (სასტარტო შემადგენლობა): დიუ ტუა, ვ. ჰუმანი, ჟუბერი, ბობო, ჰენდრიკსი, როსოუ, კონრ...დი; კუტცე, ბოსჰოფი, კარსტენსი, ბადენჰორსტი, ბოთა, ბრიცი, ვან ჰეერდენი, ვინტერი (შემცვლელები: ფან ნიკერკი, რაუტენბახი, დ. ჰუმანი, სხოლტცი, გრიუნევალდი, იულიესი, ი. ფან დერ ვესტჰოიზენი)**

**3 ლ: ბობო, ფან ნიკერკი, ჰენდრიკსი; 2 გ: დიუ ტუა; 3 ს: დიუ ტუა**

**ესპანეთი: 1 ლ: ა. მარტინესი; 1 გ: ა. მარტინესი; 2 ს: ა. მარტინესი**

ბორჯღალოსანთა მძლეველი სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრები ევროპის ერთ თასზე ჩვენს მეტოქეს, ესპანეთს, სევილიაში ესტუმრა და დაახლოებით იმგვარად მოექცა მასპინძლებს, როგორც საქართველოს ნაკრებს თბილისში.

აფრიკელთა დამრტყმელმა გაფი დიუ ტუამ უკვე მეორე წუთზე დააწინაურა თავისიანები, თუმც სულ მალე გარემარბ ალფონსო მარტინესის ლელოთი წინ მასპინძლები გავიდნენ. მარტინესმა თავისივე ლელო გარდასახა. აქედან მოყოლებული ინიციატივას აფრიკელები დაეუფლნენ და მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. ბობომ, ფან ნიკერკმა და ჰენდრიკსმა თითოჯერ დაალელოვეს პირინეელები. დიუ ტუამ ორი ლელო გარდასახა და მარტინესის ორი საჯარიმოს ამდენითვე უპასუხა.

**ბაჩო სვანიძე**



ინგლისი — სამხრეთ აფრიკა. ბრაამ ფან სტრაატენმა (№ 12) და ანდრე ფენტერმა ინგლისელი დან ლუგერი ერთობლივად შეაჩერეს



საფრანგეთი — ფიჯი. პატრიკ ტაბაკომ (მარცხნივ), რაფაელ იბანიესმა და ფაბიენ გალტიემ ფიჯელი ვილიამე სატალა ალყაში მოაქციეს

მსოფლიოს თასი

# ივიცა, ძმა იანიცასი

## კავანიუს საქმეს სხვები აგრძელებენ

**კოლორადოს მთებში** კურორტმა ასპენმა მსოფლიოს თასის ეტაპებს უმასპინძლა, ქალებსაც და ვაჟებსაც. ოკეანის გაღმა მთებში ხვავრიელად თოვს და იტყობინებიან, რომ ასპენში ახალი თოვლის საფარმა 6 დუიმს უწია, რაც 15 სანტიმეტრს შეადგენს. ეტაპები გასულ უქმეებზე შედგა და მთავარი ორი მათგანი იყო — 24 ნოემბრის ქალთა და მომდევნო დღის ვაჟთა სლალომები.

რეჟინ კავანიუს დაღუპვიდან 22 დღის მერე ქალთა სლალომის პოდიუმზე ფრანგი მანდილოსანი იდგა და ცხადია, გამარჯვებას უდროოდ წასულ თანამემამულეს უძღვნიდა. 26 წლის ლაურე პეკენიომ ყველაზე უკეთ გამოიყენა სლალომის უპირობო ასის, იანიცა კოსტელიჩის არყოფნა და 0,17-წამიანი სხვაობით გაიმარჯვა.

პეკენიოს სრიალი ფათერაკებით სავსე გახლდათ, განსაკუთრებით მეორე რბოლა, მაგრამ ფრანგი რამდენჯერმე სასწაულით გადაურჩა დაცემას თუ ტრასიდან აცდენას და ამის მიზეზად კავანიუს აჩრდილი ახსენა, რომელიც თურმე სულ თან სდევს და მოტივაციას მატებს.

„ჩვენ ყველაფერს მისი ოჯახისა და მეგობრებისთვის ვაკეთებთ — თქვა პეკენიომ ნაკრების სახელით — რეჟინს არ მოეწონებოდა, სულ რომ გვეტირა და საქმე დაგვევიწყებინა. მასზე ბევრს ვფიქრობდი და ვიცოდი, რომ ჩემთან იყო. საკუთარ თავს ვუთხარი, არ უნდა გაჩერდე და რეჟინივით ისრიალო-მეთქი“.

სეზონის დასაწყისი სამთოთხილამურობაში ძალთა გლობალურ გადანაწილებას არ უჩვენებს. ბებერი ევროპა, ალბათ, წლეულსაც ავსტრიის თამადობით, მოწინავეა, ხოლო ამერიკელთა საუკეთესო შედეგი თუნდაც მშობლიურ ტრასაზე 24 ნოემბრის ქალთა სლალომში მხოლოდ მე-6 ადგილი იყო. ვერც ვაჟებში გამოჩნდნენ იანკები მაინცდამაინც. ერიკ სკლოპიმ მე-18 ადგილი იკმარა 25 ნოემბრის ვაჟთა სლალომში, რომელიც ივიცა კოსტელიჩმა მოიგო.

უეჭველია, გვარი გეცნობოდათ. 22 წლის ხორვატი ყმაწვილი სახელგანთქმული იანიცა კოსტელიჩის უფროსი ძმა და მისი ფანი გახლავთ. კოსტელიჩების საფირმო ნიშნად ქცეულმა ტრავმებმა (იანიცა ახლაც მუხლს იმუშებს) ივიცას ერთობ პერსპექტიული კარიერა დიდი ხნით გაყინა. 1998 წლიდან მან მუხლის 4 ტრავმა მიიღო და მსოფლიოს თასზე არასდროს არაფერი მოეგო გასულ კვირამდე.

ივიცა კოსტელიჩის უპირატესობას პირველი დაშვების შემდეგ არაფერი მოასწავებდა, ხორვატი 64-ე(!) ადგილზე იყო 75 სამთოელში და ყველამ პირი დაალო, როცა მე-2 რბოლის შემდეგ სრულიად ახალი სახელი გამოეცხადათ.

„ოთხ წელიწადში ბევრი რამ ვისწავლე — განაცხადა გამარჯვებულმა — ცხოვრება სულ ბრძოლაა. ტრავმები მქონდა, მაგრამ პენსიაზე არასდროს მიფიქრია“.

კიდევ ვის ერგო ჟურნალისტების დიდი ყურადღება და ქალბატონ მარიშა კოსტელიჩს, რომელმაც ვაჟის წარმატებას უშუალოდ ადევნა თვალყური.

„ასპენი მიყვარს — აღნიშნა კოსტელიჩების დედამ — შარშან ჩემმა გოგომ გაიმარჯვა, წლეულს — ბიჭმა“.

სტატისტიკა ეთანხმება მარიშა კოსტელიჩს: იანიცას შარშანდელი სენსაციის (სლალომის 10 ეტაპი მოიგო) ერთი ეპიზოდი სწორედ ასპენში გათამაშდა. ამჯერად მსოფლიოს თასის მოქმედი პატრონი ავსტრიაში გახლავთ და სამთოთხილამურობაში დასაბრუნებლად ემზადება. და-ძმა ძირითადად ერთად ვარჯიშობს და ივიცა იანიცას მუდამ თავგამოდებით აქებს.

„ის უდიდესი მებრძოლია — ამტკიცებს ძმა — არა მარტო ქალებში, არამედ ვაჟებშიც. ძალიან ნიჭიერია. ჩემს დაბრუნებაში მწვრთნელზე ნაკლები როლი როდი ითამაშა“.

ავსტრიელებიც უნდა ვახსენოთ. ერთხელ რომ ვთქვით, წლეულს სამთოთხილამურობაში ავსტრიის ხელმძღვანელობით ევროპა იბატონებსო, ასპენის ეტაპების მიხედვით საქმე მთლად ასე არ არის. ვაჟთა სლალომის პირველი რბოლა ავსტრიელმა მარიო მატმა მოიგო, მაგრამ ბოლოს მხოლოდ მესამე აღმოჩნდა. სხვებზე კი ლაპარაკი ზედმეტია — პირველ 19 კაცში მეტი ავსტრიელი არ ჭაჭანებს, ხუთმა კი ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

ასპენში გიგანტური სლალომის ერთი ეტაპი გაუქმდა, კერძოდ, 23 ნოემბრისა, როცა ჯერ კიდევ თბილოდა და თოვლი ნაკლებად იყო. ამავე მიზეზით 1 და 2 დეკემბერს ამერიკულ ბივერ კრიკში ვაჟთა სწრაფდაშვება და სუპერგიგანტიც არ გაიმართება.



ივიცა კოსტელიჩი დის ნაკვალევს დადგა

**დავით გულუა**

**ვაჟები**

**სლალომი**

I ეტაპი

1. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1.38,81; 2. ჯორჯო როკა (იტალია) 1.38,93; 3. მარიო მატი (ავსტრია) 1.39,00

II ეტაპი

1. მარიო მატი (ავსტრია) 1.39,08; 2. ბოდე მილერი (აშშ) 1.39.69; 3. ჟან-პიერ ვიდალი (საფრანგეთი) 1.40,06

**სლალომის საერთო ჩათვლა**

1. მარიო მატი (ავსტრია) 160 ქულა
2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 145
3. ჟან-პიერ ვიდალი (საფრანგეთი) 89

**ქალები**

**გიგანტური სლალომი**

1. ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) 2.23,81; 2. ელისონ ფორსაიტი (კანადა) 2.24,48; 3. სონია ნეფი (შვეიცარია) 2.24,50

**სლალომი**

1. ლაურე პეკენიო (საფრანგეთი) 1.37,64;
2. კრისტინ საპონრინგი (ავსტრია) 1.37,81;
3. კარინა რაიხი (ავსტრია) 1.38,72



# სამმა თითქმის გაინაღდა

**წინა** ტურისგან განსხვავებით, თამაშები ამჯერად გაცილებით დაძაბულად წარიმართა: ხუთ მატჩში ანგარიშში სხვაობა სამ ბურთს არ ასცილებია. ყველაზე მტკივნეულად ლიგის დებიუტანტი, მოსკოვის „ცსკა-სპორტაკადემკლუბი“ დამარცხდა. რუსეთის ჩემპიონის გარდა, დღემდე ერთი ქულაც ვერ მოუპოვებიათ ისრაელის „ჰაპოელს“ და მაკედონიის „ვარდარს“. ცხადია, სამივე მაჩანჩალას ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი შანსი გადაუწურა.

პირველი წრის დასკვნით ტურში ორი დიდი დაპირისპირება იყო: „ფოტექსი“ — „მაგდებურგი“ და „პივოვარნა“ — „ადემარი“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე მატჩში სტუმრებმა მხოლოდ შესვენებამდე მოახერხეს სათანადოდ გამკლავება, მეორე ტაიმში კი ძალა აღარ ეყოთ. სლოვენიელმა მელუდეებმა ესპანეთის ჩემპიონს მიმდინარე გათამაშებაში მეორე მარცხი აგემეს და მეოთხედფინალში გასვლა სათუოდ გაუხადეს. ევროპის საკლუბო ჩემპიონი „მაგდებურგი“ ვესპრიმში კი შერცხვა, მაგრამ უნგრელთა გამარჯვებაზე სენსაციურსა და მოულოდნელს ნამდვილად ვერ ვიტყვით.

პრაქტიკულად უკვე საგზურგანაღდებულ „ფოტექსთან“ ერთად გათამაშების შემდგომ ეტაპზე ალბათ ტიტულოვანი გერმანელებიც გააღწევენ, თუმცა ვფიქრობთ, არც მათი უმთავრესი კონკურენტი „შამბერი“ იქნება გულხელდაკრეფილი. ასევე ცალი ფეხით უკვე მეოთხედფინალში არიან უდანაკარგო „ჯამბო“ და „პივოვარნა“.

**ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა**

**ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური**

A ჯგუფი: ლოვჩენი (იუგოსლავია) — პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 24:28; სპორტინგი (პორტუგალია) — კოლდინგი (დანია) 24:23

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 2 | 1 | 0 | 92:78 | 5 |
| კოლდინგი | 1 | 1 | 1 | 71:71 | 3 |
| ლოვჩენი | 1 | 0 | 2 | 68:70 | 2 |
| სპორტინგი | 1 | 0 | 2 | 72:85 | 2 |

B ჯგუფი: სანდფიორდი (ნორვეგია) — ჯამბო (ხორვატია) 20:22; ჰაპოელი (ისრაელი) — რედბერგსლიდსი (შვედეთი) 24:27

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჯამბო | 3 | 0 | 0 | 84:69 | 6 |
| რედბერგსლიდსი | 2 | 0 | 1 | 77:78 | 4 |
| სანდფიორდი | 1 | 0 | 2 | 80:72 | 2 |
| ჰაპოელი | 0 | 0 | 3 | 73:95 | 0 |

C ჯგუფი: პივოვარნა (სლოვენია) — ადემარი (ესპანეთი) 28:26; კარვინა (ჩეხეთი) — ცსკა (რუსეთი) 33:25

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 3 | 0 | 0 | 86:72 | 6 |
| კარვინა | 2 | 0 | 1 | 83:83 | 4 |
| ადემარი | 1 | 0 | 2 | 81:80 | 2 |
| ცსკა | 0 | 0 | 3 | 73:88 | 0 |

D ჯგუფი: ფოტექსი (უნგრეთი) — მაგდებურგი (გერმანია) 24:20; შამბერი (საფრანგეთი) — ვარდარი (მაკედონია) 31:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოტექსი | 3 | 0 | 0 | 80:57 | 6 |
| მაგდებურგი | 1 | 1 | 1 | 79:69 | 3 |
| შამბერი | 1 | 1 | 1 | 70:83 | 3 |
| ვარდარი | 0 | 0 | 3 | 71:91 | 0 |



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

## კვირის მოთამაშე

### ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა)



კვირის საუკეთესო მოთამაშედ ლიგაში ზედიზედ მესამედ მეკარე აღიარეს. ამჯერად ეს საპატიო წოდება ტამპას კარის დარაჯ ნიკოლაი ხაბიბულინს ხვდა წილად. თავის წინამორბედ, კოლორადოელ პატრიკ რუასგან განსხვავებით, მან არა სამი, არამედ ორი შათაუტი შეასრულა, თუმც ამას 27 წლის რუსის გუნდის წინაშე დამსახურებისთვის ჩრდილი სულაც არ მიუყენებია. მით უმეტეს, რომ კვირის მესამე თამაშშიც ხაბიბულინმა გუნდს მოგება მოუტანა. უნდა ითქვას, რომ შათაუტებიც ღირსეული გამოდგა. თავიდან ნიკოლაიმ ნიუ ჯერსი გააწბილა, როდესაც 19 დარტყმა მოიგერია. კაროლინას კი უკვე „ხაბიბულინის სინდრომი“ გაუჩნდა და კვირას „ქარიშხლებმა“ რუსის კარზე შეტევისას მართლაც რომ გაამართლეს სახელი, მაგრამ მან 41 დარტყმა აილო და ბოლო 9 დღის განმავლობაში მეორედ დატოვა კაროლინა ხახამშრალი. შეგახსენებთ, რომ ფინიქსის მესვეურებთან გაჭიანურებული დავის გამო ლამის წელიწადნახევარი დაკარგა ნიკოლაიმ, თუმცა, როგორც ჩანს, ოსტატობა შეინარჩუნა და რაც ამ წლის დედლაინზე ტამპაში გადავიდა, სულ უფრო და უფრო უმატებს. ამიტომაცაა, რომ „ელვების“ მატჩების მიმომხილველები ხშირ-ხშირად იხსენებენ ხაბიბულინის მეტსახელს „ბულინის კედელი“. იგი ჩვეულ დონეს რომ დაუბრუნდა, ეს ტამპას გარდა რუსეთის ოლიმპიური ნაკრების მესვეურთაც ძალიან ახარებს. მას შემდეგ, რაც ევგენი ნაბოკოვს რუსეთის ღირსების დაცვა ოდესლაც ყაზახეთის იუნიორთა ნაკრებში თამაშის გამო აეკრძალა, ნიკოლაი მთავარი და პრაქტიკულად ერთადერთი საიმედო მეკარეა რუსთა შორის.

**საუკეთესო ექვსეული (19-25 ნოემბერი)**

*ნიკოლაი ხაბიბულინი (ტამპა, 1); იაროსლავ მოდრი (ლოს ანჯელესი, 1) — პატრის ბრისბუა (მონრეალი, 1); ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი, 2) — ჯო ნუინდაიკი (დალასი, 1) — იარომირ იაგრი (ვაშინგტონი, 1)*

# რა სამშობლო, რის ოლიმპიადა, სულით ხორცამდე ამერიკელი ვარო

**ორშაბათს** ლიგის უკლებლივ ყველა გუნდს სეზონში მეორედ მიეცა დასვენების საშუალება. სანამ ისინი ხელახლა გავლენ ყინულზე, უპრიანია, წინა დღეებში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები აღვნიშნოთ.

თავის 24-ე მატჩში მე-20 გამარჯვება იზეიმა ლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა დეტროიტმა. ეს ნჰლ-ის ისტორიაში მეორე საუკეთესო სტარტი გახლავთ. პარასკევს ზედიზედ ოთხი წაგებით გამწარებულ სენტ ლუისთან შეხვედრა ძალიან მძიმედ დაიწყო „წითელფრთიანთათვის“. სტუმრებმა ინიციატივა ხელთ იგდეს, ხოლო დომინიკ ჰაშეკმა მისთვის უჩვეულოდ იოლი შაიბა გაუშვა კორი სტილმანისგან. მაგრამ „დომინატორი“ მეტად აღარ შემცდარა, იგი შეუდარებელი იყო და მისმა პარტნიორებმაც გატეხეს მეტოქე. გადამწყვეტი მესამე გოლი გამოდგა, რომელიც ბრენდან შენაჰანისთვის მე-18 გახლავთ. კვირას კი დეტროიტმა კატათაგვობანა გაუმართა მდევარ ჩიკაგოს, თუმცა ეს ლამის ძვირად დაუჯდა. „წითელფრთიანები“ 3:0 იგებდნენ და ოვერტაიმამდე ძლივს მიიყვანეს საქმე, დამატებით დროში კი მათ ისევ და ისევ ჰაშეკმა უშველა.

ბრენდან შენაჰანზე მეტ გოლს მხოლოდ ჯერომ იგინლა ითვლის თავის ანგარიშზე. მართალია, პარასკევს ბუფალოსთან შეხვედრაში მას ბრწყინვალე 15-მატჩიანი (!) ქულიანი სერია შეუწყდა, მაგრამ წინადღეს ოტავაში გოლით და 2 პასით კალგარი მარცხისგან იხსნა, კვირას კი კოლუმბუსთან სეზონში მე-20 შაიბა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ კალგარიმ ბუფალოსთან პირველად წააგო მას შემდეგ, რაც 10 მატჩი წარმატებით ჩაატარა (+8=2-0).

კიდევ უფრო ხანგრძლივი სერია ჰქონდა ამ უქმეებამდე ოტავას. 11 წაუგებელი მატჩის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, რომ „სენატორები“ შინ ატლანტასთან დამარცხდებოდნენ, მაგრამ სასწაული მოხდა. მიუხედავად სოლიდური უპირატესობისა, ოტავამ 2-ჯერ მეტი შაიბა გაუშვა. გამოსარჩევია ატლანტელთა 18 წლის ვუნდერკინდი ილია კოვალჩუკი, რომელმაც მე-10 გოლი გაიტანა და 1 პასიც მიითვალა. იგი ფლორიდელ კრისტიან ჰუსელიუსთან ერთად დაწინაურდა ახალბედათა შორის.

რეინჯერსს შთამბეჭდავი სერიის შემდეგ საქმე წაუხდა. ვაშინგტონთან საგარეო შეხვედრაში ნიუიორკელები 2:0 იგებდნენ. ცხადია, მეტოქემ მდგომარეობის გამოსწორება სცადა და ამაში თავად „რეინჯერები“ დაეხმარნენ. მეკარე დენ ბლექბერნის უხეშობა მათ პირველი გოლის ფასად დაუჯდათ, შემდეგ კი იგორ ულანოვმა სრულიად უსაფუძვლოდ დაასისხლიანა კრის საიმონი, რასაც დედაქალაქელებმა მეორე გოლით უპასუხეს. მესამე პერიოდში კი სტუმრებმა მთლად გაუშვეს მატჩის სადავეები ხელიდან და ჩხუბითლა ცდილობდნენ ფონს გასვლას. ამ მესამედმა მთლიანად შეხლა-შემოხლასა და აყალმაყალში ჩაიარა, ამასობაში კი ვაშინგტონმა გოლების გატანაც მოასწრო. ხოლო წაგებით განაწყენებულმა „რეინჯერებმა“ კვირას სულელური შეცდომებით ანაჰაიმსაც შეაწყვეტინეს 9-მატჩიანი უხეირო სერია (+0=2-7).

მინესოტელი მარიან გაბორიკი ძალას და ღონეს არ იშურებს, რათა გააქარწყლოს აზრი, რომ მეორე სეზონი სადებიუტოზე ძნელია. 19 წლის სლოვაკმა მორიგი ორი შაიბის ხარჯზე თავისი მონაგარი 12-მდე გაზარდა, თანაც დავაუკაცებულმა ფორვარდმა ორჯერვე კართან ბრძოლაში იხეირა. შარშან გაბორიკმა სულ 18 გოლი მიითვალა.

დალასი და მონრეალი ამას წინათ განხორციელებული გაცვლით ჯერჯერობით სრულიად კმაყოფილნი არიან. აწ უკვე მონრეალელმა დონალდ ოდეტმა ორ მატჩში მოგროვებული 4(2+2) ქულით გუნდის წამყვან სამეულში დაიმკვიდროს ადგილი, მასში გაცვლილი ბენუა ბრიუნე (გოლი და პასი) და მარტინ რუჩინსკი (პასი) კი დალასს ორ შეხვედრაში 3 ქულის მოპოვებაში დაეხმარენ.

პატრიკ რუა თავის ყველა გამარჯვებას შათაუტით ალამაზებს. ლეგენდარულმა მეკარემ ედმონტონთან სეზონში მე-5, ხოლო ბოლო 11 დღეში მე-4 მშრალი მატჩი ჩაატარა. მანამდე კი რუამ სენსაციური განცხადება გააკეთა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მივიღებ, რათა პლეი ოფისთვის უკეთ მოვემზადოო. კანადის ნაკრების გოლკიპერის გადაწყვეტილებამ გუნდის თავკაცები სულაც არ გაანაწყენა. მწვრთნელმა პეტ ქუინმა თქვა, რომ იგი პატივს სცემს და ამართლებს რუას ნაბიჯს. კანადელთა ღირსებას კი ოლიმპიადაზე ან ტორონტოელი კერტის ჯოზეფი დაიცავს, ანაც — ნიუჯერსელი მარტინ ბროდო.

არც ალექსანდრ მოგილნი გაამლიერებს ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრებს, მაგრამ მისმა მორიგმა უარმა ვარსკვლავისადმი ისედაც მტრულად განწყობილი რუსული პრესა აალაპარაკა. არადა, „ალექსანდრ მრისხანეს“ აქამდეც არაერთხელ უთქვამს, დიდი ხანია, სამშობლოს ხსენება გულს აღარ მიჩქროლებს, უკვე სულით ხორცამდე ამერიკელი ვარო.

**სამველ ღარიბიანი**

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მეთოთხმეტე ეტაპი (დიდი ბრიტანეთი)

# მეფე რიჩარდის ტრიუმფი




მსოფლიოს ჩემპიონები რობერტ რიდი და რიჩარდ ბარნსი

**სეზონის** დასკვნითი რბოლის წინ მეტად ჩახლართული სატურნირო ვითარება იყო: სამი ეკიპაჟი პრაქტიკულად თანაბარ საჩემპიონო შანსს ინარჩუნებდა. კოლინ მაკრეის, ტომი მაკინენსა და რიჩარდ ბარნსს ერთმანეთისგან მხოლოდ თითო ქულა აშორებდათ. ისე, შარშანაც სწორედ ბოლო, ბრიტანულ ეტაპზე გაირკვა ჩემპიონის ვინაობა, თუმცა მაშინ ცხრილში ასეთი მჭიდრო „ურთიერთობა" არ ყოფილა.

დიდი ბრიტანეთის 23-ე რალი, რომელიც კარდიფში დაიწყო და უელსის ტერიტორიაზე გაიდიოდა, მეტად რთულ პირობებში ჩატარდა. ისედაც უხარისხო, ვიწრო, მოხრეშილი გზები თითქმის გადაულებელმა წვიმამ და ძლიერმა ნისლმა კიდევ უფრო ძნელად გასავლელი გახადა. არცაა გასაკვირი, რომ საკმაოდ ბევრი ავარიაც მოხდა. უკვე დასაწყისშივე გამოაკლდა საჩემპიონო ბრძოლას ორი ლიდერი. მეორე ჩქაროსნულ უბანზე (სულ კი მონაწილეებს 17 უნდა დაეძლიათ) მცირე შეცდომა დაუშვა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა მაკინენმა, რის შედეგადაც მის „მიცუბიშის" მარცხენა წინა შეკიდულობა მოემტვრა.

ოდნავ მეტი გაძლო მაკრეიმ. სამი სპეცმონაკვეთის უსწრაფესად გავლის შემდეგ შოტლანდიელი რბოლას სათავეში ედგა, მაგრამ ერთ-ერთ ჩქაროსნულ მოსახვევში პატარა ორმო „იპოვა" და ჰაერში აფრენილი „ფორდი" ოთხჯერ ამოუყირავდა. ბედად, მრბოლი და შტურმანი ნიკი გრისტი დალეწილი მანქანიდან უვნებლად გამოძვრნენ. უფრო დიდი ხიფათი შეემთხვა ვეტერან კარლოს საინსს — მასაც საჭე გაექცა და გზის პირას მდგომი 13 მაყურებელი დააშავა. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაზიანებულა.

კონკურენტების გამოთიშვამ ბარნსს ამოცანა გაუადვილა. ახლა მთავარი იყო, ზედმეტად არ გაერისკა, რადგან მიზნის მისაღწევად ფინიშზე თუნდაც მეოთხედ მისვლაც კმაროდა.

მაკრეის ავარიის შემდეგ ლიდერობა შარშანდელმა ჩემპიონმა მარკუს გრონჰოლმმა იგდო ხელთ. მან სამდღიანი ურთულესი ასპარეზობა პრაქტიკულად უშეცდომოდ წარმართა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. უკვე პირველი დღის შემდეგ გრონჰოლმი და ტიმო რაუტიაინენი 37 წამს უგებდნენ ბარნსს. [illegible] მდგომში ბრიტანელმაც [illegible] ცდომა, რამაც ჰარი როვანპერასა და რისტო პიეტილაინენს მათი გასწრების საშუალება მისცა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ფინიშამდე ცოტაღა რჩებოდა და ჩემპიონის საკითხიც თითქმის გარკვეული იყო.

29 წლის ბარნსი, რომელიც უკვე მეფე რიჩარდად მონათლეს, პირველი ინგლისელი მსოფლიოს ჩემპიონია რალის 23-წლიან ისტორიაში. ბარნსრიდის ეკიპაჟმა წლეულს ერთი ეტაპი (ახალი ზელანდია) მოიგო, ოთხჯერ მეორე და ერთხელაც მესამე ადგილები დაიკავა. ცნობისთვის, ყველაზე მეტი, სამ-სამი რბოლა მოიგეს მაკინენმა, გრონჰოლმმა და კოლინ მაკრეიმ.

ბოლოს გუნდურ ჩათვლაზეც. „პეჟომ" დამაჯერებლად გაიმარჯვა — გრონჰოლმისა და დიდიე ორიოლის ეკიპაჟებმა ფრანგულ კონცერნს 106 ქულა შესძინეს. „ფორდს" 20 ქულით ნაკლები აქვს, მესამე ადგილზე 69 ქულით „მიცუბიშია", „სუბარუ" მხოლოდ მეოთხეა (66).

**გია ახალაძე**

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3 სთ; 23.44,8 |
| 2. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 2.27,1 |
| 3. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) | 3.15,4 |
| 4. ალისტერ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ჰიუნდაი) | 6.48,8 |
| 5. არმინ შვარცი (გერმანია, შკოდა) | 7.31,3 |
| 6. კენეტ ერიქსონი (შვედეთი, ჰიუნდაი) | 8.11,0 |

**საბოლოო ვითარება**

1. რიჩარდ ბარნსი 44 ქულა; 2. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) 42; 3. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) 41; 4. მარკუს გრონჰოლმი 36; 5. ჰარი როვანპერა 36; 6. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 33; 7. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, პეჟო) 23; 8. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 22; 9. ფრანსუა დელაკური (საფრანგეთი, ფორდი) 15; 10. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 11.

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე
✱ პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
✱ გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით
კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რატომ ისვრის მონარქი ქუდს?

ოჰ, ამ ესპანელებს როგორ უყვართ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხოცვა, რასაც კორიდას უწოდებენ. აი, პერუს დედაქალაქ ლიმაში ესპანეთის ხელმწიფე ხუან კარლოსი ჩასულა, წინა დღეს უმაღლესი რანგის საქმეები მოუთავებია, მერე კი გასართობადაც მოუცლია და ნობელის პრემიის ლაურეატ მწერალ მარიო ვარგას ლიოსასთან ერთად კორიდაზე წასულა, სადაც, თურმე, ცნობილი ტორეადორი პაკო ოხედა გამოდიოდა. მეფე აღფრთოვანებულა ოხედას ხელოვნებით და მისთვის ტრიბუნიდან ქუდი უსვრია, რაც მატადორულ ამბავში დიდი დაფასებაა.

# მერაია და ვიქტორია





REUTERS

გერმანიაში სამაუწყებლო კომპანია ARD-მ დიდი ზეიმი გამართა — სპორტული ჯილდოები დაარიგა. მთავარი ჯილდო, „ვიქტორია" გადაეცემოდა მას, ვისაც ხმას ყველაზე მეტი ტელემაყურებელი მისცემდა. ერთი სიტყვით, ხალხი წყვეტდა, ცნობილი ამერიკელი შოუ-ბიზ ვარსკვლავი მერაია კერი კი მღეროდა. და, საბოლოოდ „ვიქტორია" ველომრბოლ ერიკ ზაბელს ერგო.



REUTERS

# ჰარი ჰარალე

ეს ბურთს გამოკიდებული ყმაწვილი არც მეტი, არც ნაკლები, ბრიტანეთის პრინცი ჰარია, რომელიც, სავარაუდოდ, ოდესმე მეფე გახდება. ის ბერკშირში, იტონ კოლეჯში სწავლობს და წმინდა ენდრიუს დღეს ყოველწლიურ, ტრადიციულ ბურთაობაში მონაწილეობს. თამაში ძალიან ჰგავს ფეხბურთს, თუმცა მისი აზრი ასეთია: იტონში 118-იარდიანი კედელი რომ დგას, ბურთი მის ორივე ბოლოსთან უნდა მიიტანო. ჰოდა, ჰარიც ცდილობს, რა ენაღვლება, რა.



REUTERS

# იყო მისტერი, გახდა სერი

ასერებს და ასერებს სპორტულ მოღვაწეებს ბრიტანეთის სამეფო ოჯახი. ამ ფოტოზე რომ კაცს ხედავთ, ოდინდელი მრბოლი და ... ერთის ჩემპიონი ჯეკი სტიუარტია, ხოლო ქალი — მისი მეუღლე ჰელენი. სტიუარტმა ეს-ესაა პრინც ჩარლზისგან რაინდის წოდება მიიღო და ფოტოგრაფების წინაშე დადგა.

# ესეისაში

ბუენოს აირესში 1 დეკემბერს დიდი რაგბია: არგენტინა — ახალი ზელანდია. ახალზელანდიელები იქ, „ესეისას" აეროპორტში შოტლანდიიდან ჩავიდნენ. ამ ფოტოებზე ბარგაკიდებულ ჯონა ლომუსა და კეეს მეუვსს ხედავთ. თამაში ცნობილ „რივერ პლეიტის" სტადიონზე გაიმართება.





REUTERS


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხელიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge